სამშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 19 № 221

ჟღლიჟადი მეოთხე

სამშაბათი. 1918 წ. გიორგობისთვის 19 № 221

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. სასწრაფო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## უკანასკნელი ცნობები

ინგლის-საფრანგეთის მთავრობამ იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

გერმანიის ბექ. საინფ. ბიურომ პარიზიდან რადიო-დეპეშა მიიღო: „პარიზში რევოლიუცია დაიწყო. პუანკარე გაიქცა.

საქსონიის მეფე ტახტიდან გადადგა.

ბერლინის მაგისტრატში ყველა მუნიციპალურ დაწესებულებებში 8 საათის სამუშაო დღე შემოიღეს.

გერმანიის გენერალური საელჩო პეტროგრადში დაატყვევეს.

შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლები სპაში ჩავიდნენ გერმანიის საქონლის ჩასაბარებლად.

ბავარიის ჯარმა დასტოვა ტიროლი.

საფრანგეთის სოციალისტურმა პარტია და მუშათა კავშირი მიესალმა გერმანიის რევოლიუციას.

ჩეხო-სლოვაკებმა რესპუბლიკის პრეზიდენტად პრ. მასარიკი აირჩიეს.

გალიციის სოც.-დემ. ლიდერი დაშინსკი პოლონეთის მთავრობის პრემიერ მინისტრად დაინიშნა. მასვე მიანდვეს კაბინეთის შედგენა.

კვირას, დილის 11 საათზე თბილისის მილიციამ ვერის ხიდის ქვეშ ჩაწყობილი დინამიტი აღმოაჩინა. განზრახული ყოფილა აგრეთვე ტრამვაის და ელექტრონის სადგურების აფეთქება.

საქა. ერ.-დემოკრატ. პარტ. მთავარი და ახალგაზრდათა კომიტეტები მწუხარებით აუწყებენ წევრებს ორი საუკეთესო ახალგაზრდის, სტუდენტების

**ამბროსი პირველის და კოწია დევდარიანის**

სვანეთში გარდაცვალებას. 1—1

ივანე გიორგის ძე, შვილები: კოსტა, ალექსანდრე, ნინა, დომნა, ვალენტინა და მარიამ გაბელიები აცნობენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველის მეუღლის და დანარჩენთ დედის

**მართა სიმონის ასულის გაბელიას**

გარდაცვალების ერთი წლის შესრულების გამო 10 გიორგობისთვეს (ძველი სტ.) ნახუტურის ეკლესიაზე ქ. ფოთში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად. 1—65—1

**ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო**

ამით აცხადებს, რომ

კვირას, გიორგობისთვის 24-ს, დილის 11 ს.

ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია კავშირის წევრთა

**საგანგებო კრება**

საკითხები: წლევანდელი სეზონი და მასთან კავშირის დამოკიდებულება. 4—66—1

**სახელმწიფო თეატრი**

საოპერო დასი ევლახოვისა

სამშაბათს, 19 გიორგობისთვეს დ. ი. საბანეევას, ტ. ორდას, ვ. მ. ბერიოზინას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ფაუსტი**

ვალპურგის ღამით

ოპერა 5 მოქმ. და 6 სურ. მუსიკა გუნოსი.

ფასები შესამჩნევად დაწეულია. ✦ დასაწყისი საღ. 8 საათზ.

ოთხშაბათს, 20 გიორგობისთვეს, ო. შულგინის, ტ. ორდას, მ. ზალიპსკის მონაწილეობით „ევგენი ონეგინი“.

ხუთშაბათს, 21 გიორგობისთვეს ტ. ი. საბანეევის, მ. ი. ალეშკოს, ა. მ. კოპშინას, ე. ა. ვრონსკის, ვ. ა. ნიკოლსკის და ლ. ი. ისეცკას მონაწილეობით: „ჰუგენოტები“.

**ხუთშაბათს, გიორგობისთვის 21-ს ჩვენი პარტიის ყველა ახალგაზრდათა**

საერთო კრებაა დანიშნული. (1—1).

## სახელმწიფოს მტრებისათვის

სახელმწიფო მით უფრო ძლიერია, რამდენად უფრო მთლიანია ეროვნულად მისი შემადგენლობა. ეს ჩვენ წინათაც ვიცოდით თეორეტიულად. უკანასკნელ დღეების ფაქტებმა ამაში პრაქტიკულადაც დაგვარწმუნა. საქართველოს ტერიტორიაზე უხვად გაბნეული უცხოელები სახელმწიფოს დამრღვევ მუშაობას აწარმოებენ და ჩვენს სამშობლოს ირლანდიის ბედი ელის, თუ ის ამთავითვე ცეცხლით და მახვილით არ გაუსწორდა თავის „ორანჟისტებს“. რამდენადაც უფრო დამთმობი და თავაზიანია ჩვენი სოციალისტური მთავრობა, მით უფრო თავხედი ხდება შეერთებული სომეხ-რუსობის კოალიციის იერიშები. ბორჩალოს საზღვრების გადმოლახვას მოჰყვა ქსნის ხიდის აფეთქება. ქსნის ხიდის აფეთქებას ბოროტი წადილი ვერის ხიდის და ელექტრონის ცენტრალური სადგურის განადგურებისა. ამავე დროს პარლამენტში სომხის ერის წარმომადგენლები ცინიკურად კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფას მოითხოვენ.

უნდა ითქვას, რომ მთავრობის ყოფაქცევა ვერ არის იმდენად მტკიცე და სასტიკი, როგორც ამას გარემოება მოითხოვს. თუ მტრები ჩვენს სახელმწიფოს დანგრევას უქადიან, როგორ შეიძლება ნახევარ—ზომებზე შეჩერება? ჩვენ მინისტრებს, როგორც სჩანს, დემოკრატიული სინიდისის ხმა მოსვენებას არ აძლევს. მაგრამ კარგად გაიხსენონ დიდი ევროპიულ დემოკრატიის მაგალითები.

განა ფრანგი ან სხვა ქვეყნის რევოლიუციონერები ლმობიერნი იყვნენ ემიგრანტებისა, უცხოელი აგენტებისა და ქვეყნის მოღალატეების წინააღმდეგ? განა თუნდ დღეს რომელიმე დემოკრატიული მთავრობა ნებას მისცემს უცხოელებს თავის წინააღმდეგ აგიტაცია გასწიოს. შვეიცარიის რესპუბლიკის კარები ყოველთვის ღია იყო დევნილი რევოლიუციონერებისათვის. გაუგონია თუ არა ოდესმე ჩვენ სოციალისტ მინისტრებს, რომ პლეხანოვს ლენინს თუ ჩერნოვს ოდესმე ან კარგი ეთქვას ან ცუდი შვეიცარიის მთავრობის შესახებ? რომელი დემოკრატიული სამართლიანობის სახელით თხოულობენ არარატის რესპუბლიკის წარმომადგენლები ჩვენში იმას, რაც მიუღებელია დასავლეთ ევროპის დაწინაურებულს ქვეყნებში?

ჩვენმა მთავრობამ დიდი ყოყმანის შემდეგ დაჰხურა „აღმოსავლეთის ბიუროს“ ორგანო „ორიზონი“. ამ ზომას ლოგიკურად შემდეგი ნაბიჯი უნდა მოჰყვეს. უცხოელების მიერ გამოცემული გაზეთები დამნაშავენი არიან მაშინაც კი, როცა კარგს სწერენ ჩვენ მთავრობინ შესახებ. მათ არავითარი უფლება არა აქვთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩავრიონ.

ქართველს ერს არ შეუძლია თავის სახელმწიფო საზღვრებში აშკარა და ფარულ მეამბოხეების გატანა. და თუ ჩვენი დღევანდელი მთავრობის წევრებს იმდენად სუსტი ნევრები აქვთ, რომ მათ არ ძალუძთ სახელმწიფო მოღალატეების შესაფერად დასჯა, მათ სხვა ადამიანები შესცვლიან, რომელთაც ამისთვის ნერვების ძალაც შესწევს და კუნთების ენერგიაც.

## დემოკრატიული პოტენცია

მოქალაქობრივი ანუ ბურჟუაზიული წრის განვითარება შეურყევლად მიისწრაფება დემოკრატიზმისაკენ. დასავლეთ ევროპის უახლოესი წარსული და დღევანდელი დღის ფაქტები ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმის ისტორიული დანიშნულება ჯერ ბურჟუაზიისა და შემდეგ მუშათა კლასის გამაგრებაა. ეს უკანასკნელი, როგორც ახალი სოციალური კატეგორია, ახალს მიმართულებას მოითხოვს სოციალურ პოლიტიკაში და ახალს ნორმებს იწვევს პოლიტიკურ სფეროში. ეგ ნორმები ფაქტიურად ტარდება სხვა და სხვა საზოგადოებრივი წრეების თანამშრომლობით, ზოგჯერ თვით მუშათა კლასისა და მემამულეების თანხმობითი იერიშით ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

ასე მოხდა მაგალითად შემოსავლის კვალობაზე პროგრესიული გარდასახადის შემოღებისთვის ბრძოლაში, როდესაც ჰიპოტეკებით დატვირთული მემამულეები სასტიკს იერიშებს აწარმოებდენ პროგრესიულ გადასახადების წინააღმდეგ და ქალაქის დემოკრატიასთან ერთად მოითხოვდენ მის შეცვლას შემოსავლის კვალობაზე პროგრესიულ გადასახადით. ზოგჯერ კი, როგორც მაგალითად საარჩევნო ხმის უფლების გაფართოვებაში, მუშათა კლასი ქალაქის ბურჟუაზიაში ჰპოებს თავის დამხმარეს. ზოგჯერ ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი იმაღლებს ხმას მუშათა კლასის შევიწროებულ მდგომარეობის წინააღმდეგ და სახელმწიფოებრივ მოსაზრებით გაუმჯობესებას მოითხოვენ, რასაც ძლიერ ტონს აძლევს მუშათა დარაზმული გამოსვლა დაწინაურებულ ქვეყნებში. ქალაქის გამგეობანი ზრუნავენ ნორმალურ ცხოვრების შესაქმნელად იაფფასიან ბინების მოსაწყობისა, სკოლებისა, ტეხნიკურ გამოფენებისა და დამზღვევ ინსტიტუტებისა და სხვა ამგვარი საშვალებები. და პირველად ითავა ინგლისში ქალაქმა ბირმინგამმა ჩემბერლენის სახით, მაგრამ შემდეგ მოედო არა პარტო ინგლისს არამედ მთელს კონტინენტს და გერმანია კიდეც უსწრებს წინ თავის მასწავლებელს მუნიციპალურ დაწესებულებათა გადემოკრატებაში. საინტერესოა, რომ გერმანიამ იმდენად გაუსწრო ევროპას, რომ თვით ინგლისიდანაც კი გაემგზავრა იქ საგანგებო კომისია ტეხნიკურ ცოდნის გავრცელების საქმის გასაცნობად. ამ კომისიამ თავისი დაკვირვებანი 1896 წ. გამოაქვეყნა. აქ ნათქვამია, რომ კომისია ფრიად განცვიფრებული დარჩა გერმანიის მუშათა წრის საუცხოვო განვითარებით. „გერმანიის განვითარების სხვა მრავალ პირობებში უნდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ ტეხნიკურ ცოდნის გავრცელებაო“. აქ ჩამოთვლილია სალამოს კურსები სამრეწველო სკოლებში მუშებისა და ახალგაზდა მოწაფეებისათვის, სამუშაო დღის შემცირება და ერთგვარი მაქსიმუმის დაწესება, რომლის შემდეგ შრომა აღარ არის ნაყოფიერი, მუშათა აბანოები, დამზღვევი საზოგადოებანი და სხვა.

ამგვარად მუშათა წრე და მასთან მთელი ხალხი ერთგვარის, თანაბარის უფლებით მონაწილე ხდება მთელი პოლიტიკურის ცხოვრებისა და საერთო კულტურის ძალებით შექმნილ დოვლათისა. აი, ამით მყარდება დემოკრატიზმი, როდესაც ყოველი მოქალაქე თანაბარია როგორც თავის უფლებაში ისე ყველა სხვაგარ დამოკიდებულებაში სახელმწიფოებრივ ორგანიზმთან. ეხლანდელმა ომმა ეს პოტენციალურად არსებული მიდრეკილება კიდევ უფრო მძლავრის ნაკადის სახით გამოამჟღავნა.

რუსეთი დემოკრატიულმა რევოლუციამ გარდაქმნა წარსულ წლის თებერვლიდან. როგორც არ უნდა დაბოლოვდეს ველური ბოლშევიზმი, რუსეთი მაინც დემოკრატიულ ქვეყანა დარჩება, თუნდ დროებით თვით ნიკოლოზ II-ეც რომ გაცოცხლდეს, ევროპის კაპიტალისტური განვითარების შედეგები უკვე მზათ წილათ ხვდა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს. იქ შემუშავებული პრინციპები და იდეები აღარ საჭიროებენ ადგილობრივ მატერიულ საფუძველს, ისინი ისეც საკმაო ძალას წარმოადგენენ როგორც შთაგონების იარაღი. ეხლა გერმანია მოიცვა იმავე რევოლუციამ. იქაც ფეხი გაიდგა უკიდურესმა დემოკრატიზმმა და ადვილი შესაძლებელია რომ გერმანიის მაგალითს სხვა ქვეყნებმაც წაბაძონ. სოციალისტურ-დემოკრატიულ თეორიებს, თვით მუშათა ორგანიზაციების სამშობლო გერმანიაა. ამ მხრივ მას ყველა ქვეყნების დემოკრატები და სოციალისტები ერთგვარად სანიმუშოდ სთვლიან. ცნობა გვაქვს კიდეც იტალიის შესახებ, რომ იქ ჯარებში დაიწყო ამგვარი მოძრაობა. საფრანგეთ-ინგლისშიც ჯერ კიდევ ბევრი დარჩა გასაკეთებელი სახელმწიფოს გადემოკრატების მხრივ. გადასახადების რეორგანიზაცია. საფრანგეთში, სადაც ჯერ პროგრესიული გადასახადიც კი არ არსებობს, უკვე საკმარისი იქნება ახალ მოძრაობის დასაწყებად; დაუმატეთ ომით გამოწვეული გაჭირვება, რუსეთ-გერმანიის ჯარის მაგალითების ზეგავლენა, სოციალისტებისა და სინდიკატის აგიტაცია, და ნათელი შეიქნება, რომ საფრანგეთსაც და თვით ინგლისსაც ახალი დემოკრატიული ტალღები ელის. ტრესტ-სინდიკატების ქვეყანაში, ამერიკაში, ყოველი გადასახადი ისეა მომართული, რომ იგი უფრო ხალხს ხვდება წილად, ვიდრე დიდ კაპიტალისტებს; იქ უბრალო ფერმერები შემოსავლის 30%-ით არიან დაბეგრილნი, ფინანსიური კაპიტალი კი, საკრედიტო ქაღალდებში მოთავსებული, უმეტესად თავისუფალია გადასახადისაგან, ამიტომ შესაძლებელია, რომ ამერიკასაც მისწვდება ძველი ევროპის დემოკრატიული ცეცხლის ალი. დემოკრატიული პოტენცია ყველგან მომქმედ ენერგიათ იქცევა: კაცობრიობა დემოკრატიზმში ხედავს ერთსოლიდარობის, საბოლოო მშვიდობიანობის საწინდარს. და ადვილი გასაგებია, რომ იგი ამ საწინდარს მაგრად ჰკიდებს ხელს.

მაგრამ ისტორიამ იცის, რომ დემოკრატიზმი ძალზე მილიტარისტულიც ყოფილა.

ტიტე მარგველაშვილი.

## პრესსა

**ჯარის კაცთა საბჭოს საკითხი**

გერმანიის რევოლიუცია, ბევრ ქართველში საეჭვო იმედებს სძრავს და როგორც სჩანს, თბილისის გერმანელ ჯარის კაცთა საბჭოს საკითხიც დასვა, ამ საკითხს გაზეთი „ერთობა“ ეხება და სწერს:

რუსის ჯარის წასვლასთან ერთად, ეს საბჭოები ჩვენში გაჰქრა. რუსეთშიც იგი სავსებით მოიშალა. იქ დარჩა მხოლოდ აქა-იქ წითელი არმიელთა კომიტეტები, მაგრამ მათი მდგომარეობაც გაურკვეველია და მოუწყობელი. უნდა შესდგეს ჯარის საბჭოები ჩვენში, საქართველოს ახალგაზდა ჯარშიაც, თუ არა?

ცხადია, ამ საკითხს დღეს ყველა დასვამს თავის წინაშე.

და ჩვენ გვინდა ამ ჟამათ მოკლეთ გავსცეთ ამას პასუხი. ჩვენ გვგონია, რომ საბჭოები რამდენათაც საჭიროა გერმანელებისთვის ამ ჟამათ, იმდენათ მავნებელი და გამოუსადეგარი იქნება ჩვენი ახალი ჯარისათვის.

მიზეზი ამისა ჩვენთვის აშკარაა. ჩვენი მდგომარეობა აქ ჰგავს გერმანიისას.

ჩვენი მთავრობის არსებით სურვილია სამილიციო სისტემის შემოღება, მაგრამ დღეს შექმნილი პირობები გვაიძულებენ ეს საკითხი მომავლისთვის გადავდოთ. თუ საზავო კონფერენციამ ევროპაში შესაფერი ნაყოფი გამოიღო და ერთაშორის მშვიდობიანობას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა, მუდმივი ჯარის ყოფნა არ ყოფნის საკითხი დაისმება ჩვენშიაც.

ჩვენი ახალგაზდა თავდადებული, სახელოვანი ჯარი უნდა იდგეს, როგორც სალი კლდე დამცველად ჩვენი თავისუფლებისა და არსებობისა.

## აფეთქებათა განზრახვანი თბილისში

**ვერის ხიდის აფეთქების განზრახვა.**

კვირას, 17 გიორგობისთვეს დილის 11 საათზე თბილისის ქალაქის მილიციამ ვერის ხიდის ქვეშ აღმოაჩინა ჩაწყობილი დინამიტები. ბოროტ-გამზრახველთ ვერის ხიდის აფეთქება განუზრახავთ. ჟამოძიება სწარმოებს.

**ტრამვაის და ელექტრონის სადგურების აფეთქების განზრახვა.**

ნოემბრის 13 აღმოაჩინეს თბილისის ტრამვაის ცენტრალურ და თბილისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონის სადგურების აფეთქების განზრახვა. საქმე ასე ყოფილა: ერთი მუშა შემთხვევით ამ ორ სადგურის კედლებს შუა ეძებდა ჭიაყელებს თევზებისთვის, შენიშნა, რომ მიწაში და კედლებთან რაღაც გრძელი არის დაფლული, აგრეთვე კედლებში. ცოტა მოგლიჯა, შეაგდო ცეცხლში რაც მაშინვე აფეთქდა, მუშამ ესგანუცხადა ამხანაგებს მოახდინეს ჩხრეკა და იპოვეს კიდევ ასაფეთქებლად დამზადებული ყუმბარები და დინამიტი. მაშინვე მილიცია მოიწვიეს და ტრამვაელი გვარდიელები სადარაჯოდ. ნოემბრის 14—15 ღამის 4 საათზე ორი ვიღაც შეიარაღებული კაცი დაეცა დარაჯ გვარდიელს, ალექსანდრე ღრუბელაშვილს და დაუწყო სროლა. იგი დასჭრეს ორ ადგილას, ღრუბელაშვილს სხვებიც მიეშველნენ, მაგრამ ბოროტ-გამზრახველებმა თავს უშველეს. აფეთქება რომ მომხდარიყო, ერთსა და იმავე დროს განადგურდებოდა ქალაქის ტრამვაის ცენტრალურ ელექტრონის სადგური და აგრეთვე ქალაქის ელექტრონის სადგური.

## გენერალ-გუბერნატორის ბრძანება

თბილისის გენერალ-გუბერნატორ მაზნიაშვილის ბრძანებით იკრძალება:

1) ღამის 11 საათის შემდეგ ყოველგვარი ჯგუფური მოძრაობა,

2) ღამის 11 საათის შემდეგ ვაჭრობა.

3) სპირტეულობის გაყიდვა,

4) სახლის პატრონები ვალდებულნი არიან უსათუოდ შეიტანონ სახლის რვეულში ყველა მათ სახლში მცხოვრებნი, დაავალონ მეეზოვეთ, სუფთად იქონიონ როგორც ეზოები, ისე წანა ქუჩები.

ამ ბრძანების დამრღვევთ მიესჯებათ 3 თვით ციხე ან 3,000 მან. ჯარიმა.

## საქართველოს დამოუკიდებლობა

### თბილისში მიღებულ სარწმუნო ცნობებით ინგლის-საფრანგეთის მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა.

## ქრონიკა

**პარტიული კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე, „საქართველოს" რედაქციის ბინაზე დანიშნულია მთავარ კომიტეტისა, თბილისის კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის შეერთებული კრება. განსახილველია დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და პარტიული გაზეთის საკითხი.

**გაფიცვა.** საქართველოს რკინის გზათა გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ყარალიშვილი ატყობინებს მთავრობას, რომ რკინის გზათა მთავარ სახელოსნოთა მოხელე მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს ღვინობისთვის ჯამაგირების მიუღებლობის გამო.

**კავკასიის ბონები.** მთიელთა კავშირის მთავრობის ფინანსთა მინისტრი ჯაბაგირი ატყობინებს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ მთიელთა მთავრობა თანახმაა საქართველოსა და აღერბეიჯანის რესპუბლიკასთან შეთანხმებით გამოუშვან ხელახლა ამიერ-კავკასიის ბონები.

**თბილისის ხიდების შეკეთება.** ქალაქის თვითმმართველობამ, ინჟინერ მუხაძის თხოვნის თანახმად თბილისის ხიდების შესაკეთებლად 18400 მანეთი გადასდო.

**სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეთა კავშირი.** თბილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეთა კავშირის გამგეობა სთხოვს თბილისის სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელეებს გაგზავნონ თითო წარმომადგენელი მოხელეთა კავშირის კრებაზე, რომელიც დანიშნულია 25 გიორგობისთვეს საქციზო სამმართველოს შენობაში.

**რკინის გზის მუშათა გაფიცვა.** რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშათა კრებაზე უმრავლესობა გაფიცვის წინააღმდეგ წავიდა.

**ახალი გაზეთი.** მოკლე ხანში თბილისში გამოვა მთიელთა ლიგის ახალი გაზეთი „ჩრდილოეთ კავკასია".

**ქურდობა.** 17 გიორგ. ღამით, 12 კომისარიატში, ქალაქის სავაჭრო სახლი გასტეხეს. წაღებულია 8 ტომარა შაქარი.

**სახელმძღვანელო სასამართლ. გამომძიებელთათვის.** იბეჭდება და ქრისტეშობისთვის პირველს გამოვა პრაქტიკული სახელმძღვანელო სასამართლო გამომძიებელთათვის ქართულად. წიგნში მოთავსებულია სამაგალითო ნიმუშები გამომძიებელთათვის. საჭირო ყოველგვარ ხასიათის ქაღალდებისა, დადგენილებათა და სხ. წიგნის დაკვეთა წინდაწინ შეიძლება. წყნეთის ქუჩა № 3, შ. ტატიშვილი.

**მობილიზაცია არარატის რესპუბლიკაში** სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ გამოაცხადა სამხედრო მობილიზაცია 20-25 წლიანებისთვის.

**ქარჩიკიანის მკვლელი** 15 გიორგობისთვეს ერევანში მთავრობას წარუდგა სომხეთის რესპუბლიკის მზრუნველობის მინისტრის ქარჩიკიანის მკვლელი, პრაპ. ტერ-მინიასიანცი.

**თავდასხმა** 17 გიორგობისთვეს ღამით ანდრიას ქუჩაზე გარბორევის ვერცხლეულობის მაღაზიაში შეიჭრა 6 შეიარაღებული პირნი, წაიღეს ოქრო ვერცხლი 10,000 მან. ქურდები შეიპყრეს.

**პარლამენტის წევრის ივ. ჩერქეზიშვილის** ნაცვლად, რომელმაც პარლამენტის წევრობას თავი დაანება სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციისაგან პარლამენტში არჩეულ იქმნა ნაფიცი ვექილის თანაშემწე **მარიამ ჩხეიძისა.**

**სახელმწიფო უნივერსიტეტი.** სახელმწიფო უნივერსიტეტის წლიური კრება, რომელიც კვირას უნდა მომხდარიყო, კრებაზე საკმაო რიცხვის დაუსწრებლობით გადაიდო.

**რუს ოფიცერთა პროტესტი.** რუსის ოფიცრობამ პროტესტი განაცხადა წინაამდეგ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა, რომლის ძალით არა სამხედრო მოსამსამსახურეთაგან სამხედრო ფორმისა, და იარაღის ტარება არ შეუძლიათ.

**მსახიობ ვალ. შალიკაშვილის ავადმყოფობა.** მეორე თვეა რაც მძიმე ავად მყოფი შეიქნა მსახ. ვ. შალიკაშვილი, ექიმები მოსარჩენ იმედს არც კი იძლევიან. საჭიროა მატერიალური დახმარება.

**გერმანულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი.** არამიანცის სახლში (გოლ. პროსპექტზე) გაიხსნა გერმანულ-კავკასიური სავაჭრო ბანკი.

## პარტიული ცხოვრება

ხუთშაბათს, გიორგობისთვის 21-ს, შუადღის 1 საათზე, პარტიულ ბიუროში შესდგება ყველა ახალგაზრდათა საერთო კრება.

## პროვინციის ცხოვრება

**დ. ქობულეთი** ოსმალოს ჯარი წასასვლელად ემზადება. ხალხს ეუბნებიან: ახლა ჩვენ მივდივართ და თქვენ კი ქართველებისაგან თავი დაიცავით. ხალხი ზიზღით უყურებს მათ, ვინც ოსმალების შემოსვლას ხელს უწყობდა.

## გერმანულ დელეგაციაში.

### რევოლუცია საფრანგეთში.

გერმანულმა დელეგაციამ თბილისში მიიღო პარიზის ეიფელის კოშკიდან გაგზავნილი რადიო დეპეშა, რომელიც ჩრდილო-ზღვის გერმანულ რადიო სადგურს დაუჭერია: „პარიზში რევოლიუცია დაიწყო: პრეზიდენტი პუანკარე გაიქცა". მეტი ცნობა ამ რადიო სადგურიდან არ მოსულა.

### დროებითი ზავის ვადის გაგრძელება.

დროებითი ზავის ვადათ 30 დღე იყო დადებული, რომლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო კონფერენციის მუშაობა საბოლოო საზავო პირობათა დადებისათვის. ეხლა, როგორც თბილისის გერმანელ დელეგაციას ატყობინებენ ვადა 5 დღით გაგრძელებულა ე. ი. 35 დღეს დაუდვიათ.

### სად იმყოფება ვილჰელმი.

თბილისის გერმანელ დელეგაციის ცნობით იმპერატორი ვილჰელმი ჰოლანდიაში იმყოფება და სამეფო სასახლეში სცხოვრობს იმპერატრიცასა და კრონპრინცესათათვის ჰოლანდიაში წასასვლელად გერმანიის ახალ მთავრობას საგანგებო მატარებელი დაუმზადებია და ნება დაურთავს რასაც ისურვებენ თან წაიღონ. ის ნივთიები და საიმპერატორო საკუთრებანი, რომელთა დატოვებასაც ისურვებენ, ახალი მთავრობა ჰპირდება, რომ თავის მფარველობის ქვეშ მიიღებს.

### სურსათი გერმანიისათვის

შეთანხმების სახელმწიფოთ ამერიკისათვის ნება დაურთავთ, რომ მან მიაწოდოს გერმანიას საჭირო სურსათი. განზრახვა აქვთ ავსტრალიიდან შემოზიდონ ნაყინვი ხორცეულობა, რაც იქ საკმაოდ არის.

### შავ ზღვაზე

გერმანული დელეგაცია აცხადებს, რომ შავ ზღვაზე არავითარი გემთა შეჯახება არა ყოფილა და მოძრაობა წესიერად სწარმოებს. გერმანულ დელეგაციას ცნობა აქვს, რომ ყველა ტრანსპორტი, რომელნიც ფოთიდან სევასტოპოლისაკენ წავიდნენ, უვნებლად მივიდნენ დანიშნულებისამებრ.

### თავრიზში.

თავრიზიდან თბილისში ჩამოვიდა თბილისის დელეგაციის შიკრიკი, რომელმაც განაცხადა, რომ თავრიზიდან იგი წამოვიდა 8 ნოემბერს და ამ დროისათვის იქ ერთი ინგლისელიც არ ყოფილა. გერმანული საკონსულო თავრიზში იმყოფება. ქალაქში სრული წესიერებაა.

### მატარებლების შეჯახება ჯულფაში.

გერმანელმა შათირმა, რომელიც გუშინ თავრიზიდან დაბრუნდა, თბილისში ცნობა მოიტანა, რომ ჯულფასთან მატარებლების შეჯახება მომხდარა. მოკლულია 70 კაცი. დაჭრილია 150.

### გერმანელ ჯარისკაცთა თბილისის საბჭოში.

თბილისის ჯარისკაცთა საბჭომ შემდეგი მოწოდება გამოსცა გერმანელ ჯარისკაცთა მიმართ.

ამხანაგებო: თქვენ წრეში დაარსდა კავკასიაში მყოფ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომლის მიზანია დაიცვას თქვენი ინტერესები. ჩვენი წინამძღოლებთან შეთანხმებით დ თანაშრომლობით ვცდილობთ გამოვნახოთ მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი. ამისათვის დავრჩით მოვალეობისათვის თავდადებულ ჯ.-კაც., რის გამო ჩვენ პატივი გვქონდა დამსახურებული მთელ ქვეყანაზე, როგორც ყოფა-ქცევის მხრივ და სხვა. არავითარ შემთხვევაში ნუ დაჰკარგავთ ამ პატივისცემას. სიმშვიდე და დისციპლინა აუცილებელია ჩვენთვის და დარწმუნებული ვართ ამ მხრივ ხელს შეგვიწყობთ. დემოკრატია აღმოსავლეთით დასავლეთისკენ მიილტვის. ყველაზე ბედნიერი ის ხალხი იქნება, რომელიც შესძლებს ჯანსაღ დემოკრატიის შექმნას.

მიიღეთ სალამი, ამხანაგებო! გაუმარჯოს თქვენს დაფიქრებულს და ერთსულოვან მუშაობას სამშობლოში.

**კავკასიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო.**

## რევოლუცია გერმანიაში

### ჰერცოგ ოლდენბურგის გადაყენება.

**ლიონი.** დიდი ჰერცოგი ოლდენბურგი ტახტიდან გადააყენეს.

**ამსტერდამი.** ამსტერდამიდან გერმანიის კრონპრინცი იუწყება გერმანიასთან დროებითი ზავის სწორ პირობებს.

**გერმანიის პრესა 16 ნოემბერი.** ბავარიის ახალი მთავრობა ფიქრობს ყველა სახელმწიფო კოშკი სახალხო განათლების და ჰიგიენის საქმეს მოახმაროს.

### მეფე და პრუსიის მთავრობა.

პრუსიის მთავრობამ მეფეს ძალადობით შეძენილი ქონება ჩამოართვა და პრუსიის ფინანსთა სამინისტროს გადასცა. მეფისა და მისი ოჯახის კერძო საკუთრება ხელშეუხებელი დარჩება.

### ლიუდოვიკ ბავარიელი

ყოფილმა მეფემ ლუდოვიკ ბავარიელმა ერთგულობის ფიციდან აფიცრები გაანთავისუფლა. ბავარიის სახალხო სახელმწიფოს მინისტრთა საბჭომ შეიწყნარა მეფის განცხადება ტახტიდან გადადგომის შესახებ და მასთან საბჭომ განაცხადა, რომ ყოფილ მეფეს და მის ოჯახს შეუძლია იცხოვროს ბავარიაში ისე, როგორც სხვა მოქალაქეს, თუ ბავარიის სახალხო სამეფოს წინააღმდეგ არ იმოქმედებენ. შემდეგ ბავარიის სახალხო სახელმწიფოს მთავრობა აცხადებს. რომ ბანკებში და შემნახველ კასებში შეტანილ თანხის კონფისკაცია არ მოხდება. საქსონიის მეფე ტახტიდან გადადგა და ყველა გაანთავისუფლა ერთგულობის ფიციდან. პრინცებმა ვალდეკულმა და პირბონტელმა უარი განაცხარეს თავის უფლებებზე.

### მთავარი ბანაკი

მთავარ ბანაკს, ჰინდენბურგთან ერთად, ვილჰელმსგოფეში მოელიან.

### რუსეთ-გერმანეთის დამოკიდებულება

რუსეთიდან მოსულ ცნობების თანახმად გერმანიის გენერალურ საელჩოს შტაბი მოსკოვში დაატყვევეს გერმანიის გენერალურ საელჩოს შტაბი პეტროგრადში რევოლუციურმა კომიტეტმა დააპატიმრა წითელგვარდიელების დახმარებით. ეს აქტები ეწინააღმდეგება ექსტერიტორიალობის უფლებას, რისთვისაც რუსეთი პასუხს აგებს. ამ ამბის გამო გერმანიის მთავრობამ განმარტება მოსთხოვა რუსეთის მთავრობას.

### დამოუკიდებელ სოც. დემ. მოწოდება

დამოუკიდებელ სოციალ-დემ. პარტიამ გამოუშვა მოწოდება ინტერნაციონალის, მუშათა და პარტიულ ამხანაგთა მიმართ.

### მუშათა და ჯ. კ-თა აღ. კომიტეტი და გვარდია

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ სახალხო გვარდიის შედგენა საჭირო არაა, რადგანაც ჯარმა თვითონ განაცხადა, რომ მზათაა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის ბრძანება აასრულოს, დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარნი და სისხლი დაღვაროს, თუ ეს საჭირო იქნება სოციალისტურ რესპუბლიკის გამამტკიცებლად. ჯარისკაცთა ყრილობაზე, რომელსაც დაესწრნენ ბერლინის ჯარის ყველა ორგანიზაციების, დობერიცის საავიაციო რაზმის და კენიგსბერგის პირველ საარმიო კორპუსის წარმომადგენელნი, ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც მთავრობისაგან მოითხოვს ეროვნულ ყრილობის, როგორც კონსტიტუციულად ერთ საფუძველზე მოწვევას. ახალი მთავრობა აცხადებს, რომ სამხედრო ტყვეებს, რომელთაც არ სურთ გერმანიაში დარჩენა, სამშობლოში დააბრუნებენ. მთავრობა ენერგიულად დაიცავს მათ შესაძლებელ საწინააღმდეგო გამოსვლის დროს, სამხედრო ტყვეებს ყოველგან უნდა შეხვდენ გუმანიურად. მათ მოუწოდებს წასვლის დრომდე დარჩენ თავიანთ სამუშაოზე და არ დაარღვიონ შინ წასვლის წესი.

### რვა საათის სამუშაო დღე

ბერლინის მაგისტრატი ყველა მუნიციპალურ დაწესებულებაში ამ წლის პირველ დეკემბრიდან 8 საათის სამუშაო დღეს შემოიღებს.

### ახალი სტატ-სეკრეტარი

გერმანო-ავსტრიის რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სტატ-სეკრეტრად აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრი, სოციალ-დემოკრატი დოქტორი ელენბოგენია.

## უცხოეთი

### ჩეხო-სლოვაკების რესპუბლიკა.

ჩეხო-სლოვაკების რესპუბლიკის პრეზიდენტად პროფესორი მახარიკი აირჩიეს. პრემიერ-მინისტრად დ-რი ვრამარჟი.

### პოლონეთის მთავრობა.

გალიციის სოც.-დემ. პარტიის ლიდერი დაშინსკი პოლონეთის მთავრობის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა.

### მოკავშირენი და გერმანია

ინგლისის პრესა. 16 გიორგობისთვე. შეერთებულ შტატებთან ერთად მოკავშირეთა შორის შესდგა ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაეხმაროს დამშეულ მოწინააღმდეგეს. ვილსონმა აღუთქვა მოწინააღმდეგეს სურსათით დახმარება.

### ამერიკა

ვაშინგტონიდან გაზეთები იუწყებიან ცენზურის მოხსნას.

### პრ. ვილსონი ინგლისში

რეიტერის სააგენტოს აუწყებენ, რომ ახლო მომავალში პრეზიდენტი ვილსონი ინგლისში გაემგზავრება.

### ტიროლი

იმბრუკიდან იუწყებიან, რომ ბავარიის ჯარმა დასცალა ტიროლი.

### გერმანიის საქონლის ჩაბარება

შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენელნი სპააში ჩავიდენ გერმანიის საქონელის ჩასაბარებლათ. გერმანელთა დელეგატები ნანსში ჩავიდენ და რკინის გზები ელზას-ლორენის სამხედრო კომისიას ჩააბარეს. უკან დახევის დროს ჯარის კაცებმა რამდენიმე აფიცერი დახვრიტეს. კრონპრინცი ჰოლანდიაში გაიქცა, სადაც მას იარაღი აჰყარეს.

ლანსინგმა უპასუხა სოლფს მის რადიო დეპეშაზე, რომლითაც ის დაბეჯითებით მოითხოვდა ზავის ჩამოგდებას, რომ თანახმაა ასეთ წინადადებით მიმართოს ყველა მოკავშირეს.

### საფრანგეთი

#### სენატის სხდომა.

**პარიზი.** სენატის სხდომაზე კენჭი უყარეს კლემანსო-ფოშის რესპუბლიკის მთავრობის კანონის პროექტს. სხდომა მარსელიეზის სიმღერით დასრულდა.

### საალყო წესები სოფიაში.

**სოფია.** მთავრობამ დაადგინა, გამოაცხადოს საალყო წესები.

## უცხოეთის ამბები

### რ უ ს ე თ ი.

#### აჯანყება საპყრობილეში.

პენზის საპყრობილეში აჯანყება მოხდა. გაიქცა 30 ტუსაღი. ტუსაღებმა მოჰკლეს ზედამხედველი, განსაკუთრებული კომისიის წევრი ეგოროვი. ამის გამო დახვრიტეს 60 სისხლის სამართალში მიცემული ტუსაღი და 30 მძეველი.

#### ტაძრების გაუქმება.

კალუგაში სოფლების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ეკლესიები სახალხო სახლებად გარდაჰქმნას. შეუდგნენ ზარების ჩამოხსნას და საეკლესიო ნივთების გატანას.

#### რომანოვის სასახლის გაძარცვა.

კოსტრომაში რომანოვების ისტორიული სასახლე გაძარცვეს. დაიკარგა ძველი სიგელ-გუჯრები და სხვა ძვირფასეული ნივთები. კომისარი, რომელიც სასახლის ქონებას განაგებდა, მიიმალა.

#### ჩინური გაზეთი.

როგორც მოსკოვიდან იტყობინებიან, გამოვიდა პირველი ნომერი გაზ. „კიტაელ კომუნისტ"-ისა. ეს გაზეთი სოვნარკომის საგარეო განყოფილებამ გამოსცა.

#### მოლაპარაკება კრასნოვთან.

მიღებულ ცნობებით კრასნოვის მთავრობა ყუბანის მთავრობასთან შეთანხმებით შეთანხმების სახელმწიფოებთან საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებს.

ინგლისის დელეგატებმა განუცხადეს, რომ შეთანხმების სახელმწიფოებს ჰსურთ შეჰქმნან ერთიანი კოალიცია ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ყველა სახელმწიფოთა ძალა მიმართული იქნება ბოლშევიკების მთავრობის ჩამოსაგდებლად.

#### ბოლშევიკების წამება.

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ საგანგებო საგამომძიებლო კომისიაში პეტერსი ელექტრონით აწამებდა ხალხს. იყო სასიკვდილო შემთხვევა.

#### ლიტვის დამოუკიდებლობა.

„ფრანკფურტ. ცეიტ." იუწყება, რომ ვილსონმა ლიტვის ეროვნულ საბჭოს პრეზიდენტს ვაშინგტონში სიგელი გადასცა, რომლითაც ლიტვა ცნობილია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამასთანავე ვილსონი იმედს გამოსთქვამს, რომ ლიტვის ყველა მიწები აღმოსავლეთ პრუსიაში კენისბერგამდის შეერთებულნი იქნებიან ერთ ეროვნულ სახელმწიფოდ.

## საქართველოს პარლამენტში

### 15 გიორგობისთვის სხდომა (დასასრული)

თავმჯდომარეობს **ნ. ჩხეიძე.**

### ნ. თარხანოვის შეკითხვა

პარლამენტი გადადის პარლამენტის წევრთა ნ. თარხანოვის და ლ. თუმანოვის შეკითხვის განხილვაზედ სასამართლოს დაუკითხავად ადმინისტრატიულის წესით დატუსაღების შესახებ.

პირველი სიტყვა შეკითხვის ავტორს ეკუთვნის.

**ნ. თარხანოვი.** თუმც ეს შეკითხვა შემოტანილი იყო ორი კვირის წინეთ, მაშინ როდესაც პოლიტიკურ პატიმართა მიერ შიმშილობა იყო გამოცხადებული და ეხლა კი ეს შიმშილობა გათავებულია, ამ შეკითვას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, რადგან ქალაქში სამხედრო წესებია გამოცხადებული და მოქმედებენ განსაკუთრებული ხასიათის განკარგულებანი. ასეთს პირობებში პარლამენტმა უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, და რათა სასამართლოს გარეშლად დატუსაღებანი განსაზღვრულ ნორმებში იქნან მოქცეულნი და ადგილი არა ჰქონდეს პირადს ძალმომრეობათ და ადმინისტრაციის შეხედულებათ ამა თუ იმ საკითხში.

### იუსტიციის მინისტრის შალვა მესხიშვილის პასუხი

მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! შეკითხვაში მოხსენებული პირნი დატუსაღებულნი არიან ადმინისტრატიულის წესით შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ და იუსტიციის მინისტრს კი მართებს მხოლოდ თვალყურის დევნა, რომ კანონიერება იქნეს დაცული.

ჩვენში ჯერ-ჯერობით მოქმედებენ რუსეთის კანონები და 1917 წლის 2 აგვისტოს კანონით კი შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა ადმინისტრატიულის წესით დატუსაღებისა. ამ კანონზედ ხელი უწერია რუსეთის მთავრობის მაშინდელ მეთაურს კერენსკის და ზარუდნის, რომელნიც თანამოაზრენი არიან შეკითხვის ავტორისა და რომელსაც მათი სახელები უთუოდ კარკად მოეხსენება (ტაში).

ამ კანონით, რომელიც ჩვენი პარლამენტის მიერაც არის მიღებული, შინაგან საქმეთა მინისტრს ეძლევა საშუალება სათანადო სასჯელი მიაგოს სახელმწიფოს მტრებს და მშვიდობიანობის დამარღვეველთა და მოღალატეთ (ტაში).

ვს არის ფორმალური მხარე და მე მეტყვიან, რომ ამ ფორმალური მოსაზრებებით მინდა თავიდან ავიცდინო ეს შეკითხვა; მე ვარ წევრი სოლიდარული კაბინეტის, არ დავმკაყოფილდები ამ საკითხის მარტო ფორმალური მხარით და შეკითხვას არსებითად შევეხები.

სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმალურ პირობებში, რასაკვირველია, არც ერთი ჩვენთაგანი არ დაიცავდა სასამართლოს გარეშე დატუსაღების საჭიროებას, მაგრამ მიიღეთ მხედველობაში, თუ რა პირობებში უხდება მოქმედება ჩვენ მთავრობას საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრების 6 თვის განმავლობაში, ამ მთავრობას არ შეეძლო ეფიქრა, ნორმალური, უფლებრივი წყობილების დამყარებისათვის.

როდესაც რესპუბლიკა გარშემორტყმულა მტრებით, ხოლო შიგნით კი, მრავალი პროვოკატორი და ბოროტ-განმზრახველნი, აშკარად და ფარულად სახელმწიფოს დასანგრევად მოქმედებენ, განა შესაძლებელია მათ წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოთ სასამართლოს საშუალებით, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით მოწყობილი არ არის და სადაც არის, იქ საბოტაჟს ეწევიან (ტაში).

ესეთს პირობებში, მოთხოვნა იმისა, რომ მოვსპოთ უსამართლოდ დატუსაღება, შეუძლია მხოლოდ იმათ, ვისთვისაც ხელ საყრელია იმ ნაძირალების მოქმედება რომელნიც ჩვენი სახელმწიფოს დასანგრევად მოქმედებენ. (ტაში).

როდესაც ჩვენი ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგება და მოისპობა ყველა ბნელი ძალები, მთავრობა თვით მიიღებს ყველა ზომებს უფლებრივი ნორმების დასამყარებლათ ხოლო მანამდის კი რესპუბლიკის მტრებს იგი იმ განსაკუთრებული საშუალებებით ებრძვის, რომლითაც აქამდე ებრძოდა, (ტაში).

### კ. ნინიძე (ს.-დ.).

ამხელს მთავრობის საწინააღმდეგო შეკითხვის ხასიათს და ამბობს, რომ მის ავტორს აინტერესებს არა ბედი იმ დატუსაღებულთა, რომელთა ქომაგათ იგი გამოსულა, არამედ კიდევ ერთხელ შექმნად „სკანდალი" მთავრობის გარშემო.

შეკითხვაში ლაპარაკია კანონის დარღვევის შესახებ, მაგრამ 2 აგვისტოს კანონი, რომელიც აქ იუსტიციის მინისტრმა მოიყვანა ჩვენი პარლამენტისაგან არის მიღებული.

და შეიძლება, ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებულნი თქვენთვის არ არის სავალდებულო (სიცილი. ტაში).

აღსანიშნავია, რომ ეს შეკითხვა პარლამენტში შემოაქვს იმ ჯგუფს, რომელიც არ სცნობს არც ამ პარლამენტს, არც საქართველოს დამოუკიდებლობას და, რასაკვირველია, არც მის მთავრობას.

**ხმები მარჯვნივ:** მაშ რათ შემოიყვანეთ აქ?

**კ. ნინიძე:** მისთვის, რომ ჩვენ ნამდვილი პარლამენტარისტები ვართ და რომ ნამდვილი პარლამენტარისტები არ ვყოფილიყავით არც თქვენ შემოგიყვანდით აქ. (ტაში სოც.-დემ. ცისკამებზედ).

მაგრამ როდესაც ჩვენს პარლამენტს შეკითხვით მიმართავს ის ჯგუფი, რომელიც პარლამენტის გარეთ მას ებრძვის, ასეთს მოქმედებას პოლიტიკური ნიზმი ითხოვს.

ბ-ნი თარხანოვი, თუ არ ვცდები, თავს მემარცხენე ესერათ სთვლის.

**ხმები მარჯვნივ:** ალბად მიტომ აფეთქებს ხიდებს.

**კ. ნინიძე:** მე არ ვიცი რას ფიქრობს იგი გულში, მაგრამ თავის-თავს მემარცხენე ესერს უწოდებს, და რამდენათ ჩვენ ვიცით ამ პარტიის გამოსვლებით, წერილებით და ტაქტიკით, იგი ტერორის მომხრეა და როდესაც აქ ბ-ნი თარხანოვი თხოულობს, რომ

მის თანამოაზრეთ, რომელნიც აფეთქებენ ხიდებს და აწყობენ აჯანყებას, ჩვენ სასამართლოს გარეითად არ დავატუსაღოთ ის ალბათ ან გულუბრყვილოთ გვთვლის ან პოლიტიკური ცინიზმით მოსდის. ჩვენ გვამტყუნებენ, რომ ციხეში ვახრჩობთ ჩვენს ყოფილ ამხანაგებს—ბოლშევიკებს.

ჩვენ კარგათ ვიცნობთ მათ და უფრო ახლო ვიდრე ბ-ნი თარხანოვი. მაგრამ არ შეიძლება ამ საკითხში პირადი მოსაზრებით ვიხელმძღვანელოთ; როდესაც მათმა მოღვაწეობამ საქართველოს მდგომარეობისათვის საშიში ხასიათი მიიღო, ჩვენ იძულებული ვიყავით მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომები მიგვეღო.

ამ პირობებმა საქართველოს დემოკრატია ჩამორჩენილ ელემენტად გამოაცხადეს და ჯაველ ოსებში და დუშეთის გლეხებში შეეცადნენ სოციალიზმის განხორციელებას და მათ აჯანყებას შეუდგნენ საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ, და ეხლა ამ ხალხმა ისეთი დამცველები და მეგობრები იპოვა, როგორიც ბ-ნი თარხანოვია და მისი ჯგუფი.

არის ქართული ანდაზა: „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და ვიტყვი, თუ ვინა ხარ შენ". სწორედ ეს ითქმის თქვენს შესახებ. (საოცარი ტაში ყველა სკამებზე).

**ლ. შენგელაია:** ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერთა სახელით აცხადებს, რომ მათ არაფერი აქვთ საერთო თარხანოვის ჯგუფთან, მაგრამ საჭიროდ სთვლის, რომ ჩვენი სახელმწიფოს ადმინისტრატიული აპარატი საგრძნობლად შეიცვალოს.

## ნ. თარხანოვი

პარლამენტის წევრი კირილე ნინიძე ჩვენ გვისაყვედურებს, თითქოს „სკანდალის" განზრახვით გამოვედით ჩვენ ამ ტრიბუნაზედ, მაგრამ მე მგონია რომ სკანდალი სწორედ მისი გამოსვლა იყო.

თქვენ შეუდექით ჩემს და ჩემი ამხანაგების გულში ფათურს, მაგრამ კონკრეტულად თქვენ ვერაფერი დაამტკიცეთ და ვერც დაამტკიცებთ—რადგან მე ვიცი აშკარად, ცილის მწამებელი ხართ.

ჩვენ არ გვითქვამს რომ მთავრობას არ აქვს ნება განსაკუთრებული ზომები მიიღოს, მაგრამ ვითხოვდით, რომ ეს ზომები პარლამენტის მიერ გარკვეულ ნორმებში ყოფილიყვნენ ჩამოსხმულნი და მით ალაგმულიყო ადმინისტრაციის თვითნებობა, თორემ ის რაც ხდება, განსაკუთრებული მდგომარეობის გამართლებით, გაცილებით ამატებს ძველ რეჟიმის ადმინისტრაციის პრაქტიკას.

ჩვენ მივიჩნევთ ჩვენს მოვალეობათ, მთავრობის საყურადღებოთ ყოველთვის აღვნიშნოთ, ესეთი მოვლენები. იქნება ფიქრობდით, რომ. რადგან აქ მოსვლის საშუალება მოგვეცით მით მოგვისართეთ კრიტიკის უნარიც ჩვენ ვსდგევართ ნამდვილი პარლამენტარიზმის ნიადაგზე და ვაწარმოებთ ოპოზიციას ყველგან მიღებულ საშუალებებით.

ამ ტრიბუნიდან ვაცხადებ, რომ არც დუშეთის და არც სხვა რომელიმე აჯანყებაში ჩვენ მონაწილეობა არ მიგვიღია, თუმცა ამისთვის სათანადო გვქონოდა...

**ხმები.** რა გქონდათ? ხმაურობა... სთქვით, რა გქონდათ?

თავმჯდომარე ზარს რეკავს და პარლამენტს წესიერებისათვის მოუწოდებს.

**ნ. თარხანოვი** (შემკრთალი განაგრძობს): ჩვენ არაფერი გვითქვამს მთავრობის საერთო პოლიტიკის შესახებ, თუმცა შეგვეძლო ძალიან ბევრი გვეთქვა ამის შესახებ.

**ხმები მარჯვნივ.** რა გქონდათ? სთქვით?

**ნ. თარხანოვი.** ჩვენ დავსვით საკითხი ასე: საჭიროა შევზღუდოთ ადმინისტრაციის თვითნებობა და პირადული გაგება ყველა განკარგულებათა და რისთვის უხვევთ გვერდს ასე პირდაპირ დასმულ საკითხს?

თუ პარლამენტი არ ისურვებს შეიგნოს საკითხის სამართლიანობა, ეს იქნება მხოლოდ იმის დამამტკიცებელი რომ მას სათანადოთ ვერ აქვს შეგნებული, თუ როგორ საშიშია „სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის" ადმინისტრატიულ თვითნებობის გაღრმავება.

## შალვა მესხიშვილი

შეკითხვის ავტორი ეხლა ლაპარაკობს, რომ იგი ადმინისტრატიულ ზომების წინააღმდეგი არ არის; მაგრამ საჭიროდ სცნობს, ეს ზომები განსაზღვრულ ფორმებში იქმნენ ჩამოსხმულნი.

შეკითხვის ტექსტში კი, რომლითაც მე ვხელმძღვანელობდი ჩემს პასუხში პირდაპირ ნათქვამია, რომ დატუსაღებანი სასამართლოს გარეითად ხდება, რაიც ყოვლად მიუღებელია დემოკრატიულ მთავრობისათვის.

სრულიად მართალია, რომ ადმინისტრაციის თვითნებობისაგან დასაცავად, ერთად-ერთი საშუალებაა სასამართლოს საქმეში ჩარევა, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ უკვე წინად მოხსენებულ გარემოებათა გამო, ჩვენი სახელმწიფოს და დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ, ჩვენ იძულებულნი ვართ ადმინისტრატიული ზომებით ვიხელმძღვანელოთ.

თუ ჩვენ აქამდე ვერ დაგვიმყარებია ნორმალური მდგომარეობა, მხოლოდ იმ ბნელი ძალების გამო, რომელნიც ჩვენს წინააღმდეგ ამართულან და რომელთაც მხარს უჭერენ ამ შეკითხვის ავტორი და მისი თანამოაზრენი, და ესენი ჩვენს წინააღმდეგ სიტყვითაც და საქმითაც მოქმედებენ.

თუ ჩვენი მთავრობა რამეშია დასაძრახისი, მხოლოდ იმ ლმობიერებაში, რომელსაც ამ ხალხისადმი იჩენს. მაგრამ როდესაც მათ ვერაგულად ისარგებლეს ამით, მთავრობამ მოიკრიბა საკმაო ძალა, რომ შეუბრალებელი ბრძოლა გამოეცხადებია მათთვის (ტაში).

ჩემს წინ სდგას ერთი მოგონება. ეს იყო ამავე დარბაზში, როდესაც აქ რევოლიუციურ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი ისხდნენ. ირჩეოდა საკითხი, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა დაგვეჭირა ბოლშევიკებთან: ჩვენსა და მათ შორის მაშინ ისეთი უფსკრული არ იყო, როგორც დღეს არის და მიტომ ბევრი ჩვენგანი მათს წინააღმდეგ სასტიკი ზომების მომხრე არ იყო. და აი მაშინ ამ სხდომაზედ დიდის ტემპერამენტით ლაპარაკობდა ერთი ორატორი, რომელიც ითხოვდა რომ ბოლშევიკებს გავსწორებოდით ცეცხლითა და მახვილითა.

ეს ორატორი გახლდათ დღევანდელი შეკითხვის ავტორი ბ-ნი თარხანოვი.

(საერთო სიცილი. ხმები; ეხლა დაუმეგობრდა მათ განა? ჩვენს წინააღმდეგ).

**შ. მესხიშვილი:** დიაღ. და დღეს, როდესაც საქართველოს მთავრობა იძულებული იქმნა რამოდენიმე ბოლშევიკი დაეტუსაღებია იმისთვის, რომ აშკარად სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ, ბ-ნი თარხანოვი ასეთ ამბავს ბოდავს და კანონების დარღვევაზედ ყვირის.

**კ. ნინიძე** უპასუხებს თარხანოვს და ამბობს, რომ მას, თარხანოვისათვის არ წამოუყენებია კონკრეტულ ბრალდება, რადგან ესეთი ბრალდების წამოყენება, რომ შესძლებოდა მას, ისინი პარლამენტში არ ისხდებოდენ, მაგრამ მან სთქვა და ეხლაც იმეორებს, რომ იგი და მისი ჯგუფი აწარმოებს საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო მოქმედებას და მათს შეკითხვასაც ესეთი ხასიათი აქვს.

## იოსებ მაჭავარიანის (ე.-დ.) სიტყვა

მე არ მინდოდა ლაპარაკი, მაგრამ ვინაიდან თარხანიანცს ამ ტრიბუნაზე მოელანდა, რომ ვითომ მე ადგილიდან ვუპასუხე, სინამდვილეთ გარდავუქცევ ამ სიზმარს.

ისეთი პასუხი გასცეს თარხანიანცს იუსტიციის მინისტრმა და მარცხენა სექტორის წარმომადგენელმა ნინიძემ, რომ იმის შეკითხვიდან აღარაფერი დარჩა.

მიუხედავად ამისა თარხანიანცმა სადღესასწაულო მედიდურებით განაცხადა, რომ მასზედ ასეთმა პასუხმა არავითარი შთაბეჭდილება და გავლენა არ მოახდინა.

მეტად სამწუხაროა, რომ თარხანიანცზე ვერც გონების და ვერც ზნეობის საბუთები სრულებით ვერავითარ შთაბეჭდილებას და გავლენას ვერ ახდენენ.

მაგრამ, რა გაეწყობა, ეს მისი საქმეა.

მხოლოდ აღსანიშნავი ის არის, რომ თარხანიანცი და მისი თანამოაზრენი ამხედრდებიან ხოლმე ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ, როგორც კი ჩვენი მთავრობა ციხეში უკრავს ხოლმე თავს საქართველოს მტრებს. ასეთი ზომა მიაჩნიათ შეცდომათ დღესაც და გაჰყვირიან, რომ მთავრობამ დაარღვია კანონი, ვინაიდან ბოლშევიკები ადმინისტრატიული წესით იქმნენ დატუსაღებულნი და დღემდე მთავრობას არ წაუყენებია მათთვის სასამართლოს წესით არავითარი ბრალდებაო.

ბრალდება კი ნათლად არის წამოყენებული.

ამბოხება დუშეთის, ამბოხება ჯავის ხეობის, საჩხერის და ლეჩხუმის, ხიდების აფეთქება და მრავალი ორგანიზაციები, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ დაამხონ საქართველოს თავისუფლება და ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა,

**დავითხანიანცი** (ადგილიდან). ოსმალებთან ვინ კრავდა ხელშეკრულებას?

**ი. მაჭავარიანი:** ეს თქვენ ჯერ ვორონცოვს, მერე ოსმალებს კამაც კამაც უურიდით ხელს ჩვენს წინააღმდეგ.

ყოველნაირი ასეთი მოღალატეობა და გამცემლობა ავალებს ჩვენს მთავრობას იხმაროს ყოველნაირი ზომა მოღალატეობის წინააღმდეგ. და ამ მხრივ ჩვენი მთავრობა ეხლა დგება ისეთ სიმაღლეზე. რომ თარხანიანცების ასეთი შეკითხვები მას ვერც შესწვდებიან და ვერც ვერაფერს დააკლებენ.

ის გარემოება, რომ დღემდე სასამართლოს წესით მთავრობას არ წარუდგენია ბრალდება ზოგიერთ ბოლშევიკებისთვის, კიდევაც რომ ჩავთვალოთ შეცდომათ, მაინც საგულისხმოა, რომ თარხანიანცები ყოველთვის ახმაურდებიან ხოლმე ასეთ შეცდომის სამხელად და არასოდეს სიტყვასაც არ დასძრავენ ხოლმე მაშინ, როდესაც ჩვენი მთავრობა მართლა შეცდომას სჩადის და არ ატუსაღებს და არ სჯის იმ მოღალატეთ და საქართველოს გამცემელთ, რომელთაც ბლომად მოუყრიათ თავი „ორიზონში", „აზიატავორში" და სხვადასხვა „ზნამიებში" და ეწევიან ყოველნაირ აგიტაციას და აღვირ ახსნილ პროვოკაციას საქართველოს რესპუბლიკის და მის მთავრობის წინააღმდეგ.

თარხანიანცი არ ცხრება. თბილისის ქალაქის სამმართველოში ის ებრძვის ჩვენს მთავრობას, და მის [illegible]ნავ რაზმებს, რათა დაიცვას სპეკულიანტები, და აქ ებრძვის იმავე მთავრობას, რათა დაიცვას ბოლშევიკები, ის ბოლშევიკები, რომელთაც თარხანიანცის პარტია—ესერები რუსეთში გამოაცხადეს კანონგარეშე.

ამისთანა თავის მოღვაწეობას თარხანიანცი კრიტიკას ეძახის.

ბ-ნო თარხანიანცო! კრიტიკაც არის და კრიტიკაც. არის კრიტიკა ნაკარნახევი სიყვარულით, კრიტიკა აღმშენებელი და არის კრიტიკა მეორენაირი—კრიტიკა სიძულვილის გესლით აღსავსე, კრიტიკა გამხრწნელი და დამნგრეველი.

ასეთ გესლიან და საქართველოს მნგრეველ კრიტიკის ნებას ჩვენ არ მოგცემთ. (ტაში).

**გ. რცხილაძე** (ს. ფ.) იმეორებს წინა ორატორთა სიტყვებს და შემკითხველის წინააღმდეგ ილაშქრებს.

**გარდასვლის ფორმულა.**

პარლამენტი ერთხმად, სოფეხთა წინააღმდეგ იღებს სოც.-დემ. ფრაქციის მიერ წარმოდგენილ გარდასვლის ფორმულა, რომ პარლამენტმა მოისმინა რა პარლამენტის წევრთა ნ. თარხანოვის ლ. თუმანოვის შეკითხვა და მთავრობის განმარტება, სრულიად კმაყოფილდება მით და გადადის მორიგ საქმეებზედ.

## დავიდხანიანის შეკითხვა

თავმჯდომარე აცხადებს, რომ პარლამენტის წევრი დავიდხანიანი (დაშ.) ხსნას თავის შეკითხვას საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოებათა გამოჟღავნების შესახებ.

**ხმები მარჯვნივ: შეშინდა განა?**

კრება იხურება ნაშუადღევის 4 ნახ. საათზედ.

შემდეგი სხდომა დანიშნულია დღეს ნაშუადღევის 12 საათზედ.

## საპარლამენტო ქრონიკა

**საფინანსო კომისიაში.** კომისიამ უკვე განიხილა სამაზრო ერობათა დახმარების საკითხი და დაადგინა:

# სონეტის გარშემო

რამოდენიმე დღის წინათ ერთმა ქართველმა პოეტმა, რომელსაც მახვილი ინტელლექტი და რჩეული განცდა ახასიათებს, შემდეგი გადმოგვცა: გრიშაშვილს ერთი ხეირიანი ლექსი ჰქონდა „არ შეგცივდეს ბარაშკა-ჯან" და ისიც მისი ახლანდელი სიტყვით („საიათნოვაში") სხვისი ყოფილაო. მართალი მოგახსენოთ: „საიათნოვა" ბოლომდე ვერ დავათავე წაკითხვით, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ ხსენებული პოეტი ასეთის უბრალო ამბავის ათვისებაში შემცდარიყო. გამოდის: „ბარაშკა-ჯან", რომელიც გრიშაშვილმა თავისად წაიკითხა სცენიდან, მისი ნაწერი არ ყოფილა. თავისთავად ჩემთვის არც ეს არის საინტერესო, მაგრამ, როცა ასეთი მწერალი ტყუილის თქმას მაბრალებს, რასაკვირველია ყურადღებას ვაქცევ ასეთს ამბავს.

დავიწყებ მუხლობით გრიშაშვილის წერილის (იხ. „სახ. საქ.", № 385) გარჩევას.

**პირველი:** მოკამათე მიმტკიცებს: თქვენ ამბობთ: მოდერნისტებამდე დაწერილ „სონეტებს" სხვათა შორის სიტყვების გამეორება არღვევსო, მაგრამ ასეთივე სიტყვის გამეორება გვხვდება თქვენსა და თქვენი ჯგუფის სონეტებშიო. და მოჰყავს რამოდენიმე მაგალითი. ამის შესახებ აი პასუხი: ა) ა. აბაშელის „სონეტში" არა მარტო სიტყვები მეორდება, არამედ მთელი სტრიქონიც; ბ) ჩემს წერილში ნათქვამია: „სონეტში სიტყვის ასეთი გამეორება მართებული არ არის"; ეს კი ნიშნავს: თუ „ასეთი გამეორება მართებული არ არის, მაშასადამე სხვანაირი გამეორება შესაძლო ყოფილა; და ეს ასეც უნდა მოხდეს: მაგალითად: როგორ გინდათ აიცდინოთ სიტყვის „შენ" გამეორება, თუ სონეტი მიმართულია ვისადმი; გარდა ამისა: სიტყვის გამეორება პირდაპირ საჭიროა ხანდახან, როცა რიტმი მძიმედ იმლება და ოცნავი ხაზგასმით იმართება: ასეთს გამეორებად მიმაჩნია მე ჩემს სონეტში: „უძირო სევდა, ნელი სევდა, ვით ძილი ქვისა; ფიცხელი ფიქრის, მწვავი ფიქრის წითელი გზნება; უნისლო ტევრი, ხშირი ტევრი უსიტყვო თქმისა;" რაც შეეხება სიტყვის „დამწვარი" გამეორებას, ეს მხოლოდ კორრექტური შეცდომაა, რასაც „ყანწების" რედაქტორიც დაამოწმებს; გ) შესაძლოა გრიშაშვილისათვის ეს ახსნა სავალდებულო არ იყოს,—მაშინ რათ არ მიმართავს იგი ჩემს სონეტს „ქართველ ხელოვანს," საცა მიმართვისათვის საჭირო სიტყვის „შენ"-ის გარდა გამეორება სიტყვის არ არის,—ან და პაოლო იაშვილის სამს სონეტს: „მალარმი, ვერლენი, ვერჰარნი", საცა სიტყვის გამეორებას ადგილი არ აქვს (გარდა აუცილებელის „მე," „შენ", „მას" და სხ.),—ან და ელენე დარიანის სონეტს, საცა მხოლოდ „მე" მეორდება; ნუ თუ მას ჰგონია, რომ „შენ," „რომ," „და" არ უნდა მეორდებოდენ?! ერთი სიტყვით: ჩემი აზრი ასეთია: სიტყვის გამეორებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სონეტში, თუ ამას მოითხოვს ზემოხსენებული ვითარება ან და რიტმის დენა; საქართველოში მოდერნისტებამდე სონეტად მიჩნეულ ლექსებში სიტყვის გამეორებას უთავ-ბოლოდ ჰქონდა ადგილი, და რასაკვირველია „სონეტში ასეთი სიტყვის განმეორება მართებული არ არის". გარდა ამისა: და მთავარი: გრიშაშვილს სწორედ ის ჩემი სონეტი უნდა მოეყვანა მაგალითათ, რომელიც მე „ყანწელების" საღამოზე წავიკითხე და რომლის წაკითხვას წარვუმძღვარე ის სიტყვა, რომელიც გრიშაშვილმა არა სისწორით გადმოსცა; აი ჩემი თქმა: „საქართველოში ყანწელებმა" შეიტანეს ნამდვილი სონეტები,—ხოლო ამ სონეტებში არ არის შეთანაბრება ვაჟური და ქალური რითმებისა; —მე წაგიკითხავთ ახლა სონეტს, საცა ასეთი შეთანხმებაც არის-თქო"; აი ჩემი თქმა: აქ ისიც უნდა დავუმატო: ქართულ ლექსთა სხმაში ქალური და ვაჟური რითმების შეთანაბრება ჯერ კიდევ პრობლემაა და უკანასკნელის უქონლობა ქართულს ლექსს სინამდვილეს ვერ დაუკარგავს; იტალიურ პოეზიაში მაგალითად მხოლოდ ქალური რითმებია; აქედან ცხადია: თუ გრიშაშვილს ჰსურდა ჩემი თქმის გარჩევა, მას სწორედ იმ საღამოზე წარმოთქმული სონეტებისათვის უნდა მიემართნა; მართალია, ეს სონეტები დაუბეჭდავია,—მაგრამ გრიშაშვილის ლექსებიც („სონეტი რობაქიძეს", „სონეტი ქუთაისს") ხომ დაუბეჭდავია,—და ეს გარემოება არ აბრკოლებს არც მე და არც მას მათ შესახებ წერილობით ვილაპარაკოთ; ერთი სიტყვით: რომელი მხრითაც არ მოვუარო ამ საკითხს, ცხადია: გრიშაშვილი სცდება და სცდება პირველად.

**მეორე:** ჯერ მისი სიტყვები: „ჰხედავ, მკითხველო, რას ეხება ბ-ნი რობაქიძე? მე როცა სონეტზე ვლაპარაკობდი, არსებითად ვლაპარაკობდი სონეტზე, როგორც ლექსის ფორმაზე და არა მის „შინა-მხარე" მის „პოეტურობაზე" და სხვა. ესეც მეორე ლოღიკა". კარგი იქნება ყველასათვის, რომ გრიშაშვილი ლოღიკაზე ლაპარაკს თავს დაანებებდეს: ლოღიკას იგი ვერ „ეგუება". საზოგადოდ უნდა ითქვას: გრიშაშვილს თავი მოაქვს იმითი, რომ ერთი „უდიპლომო ბიჭი" ვარო; ეს ყველამ იცის,—და ყველას აქვს უფლება „უდიპლომო" დარჩეს; მაგრამ გეკითხებით: რა უფლება აქვს „უდიპლომოს" (ამ შემთხვევაში არ-მცოდნეს) ყოველ გზა-ჯვარედინზე იმ საგანის შესახებ ჰყვიროდეს, რომლის მას არც ანი გაეგება და არც ბანი?! აი აქაც: გრიშაშვილს ჰგონია: სონეტის ფორმაზე ვლაპარაკობ და რა საჭიროა აქ მის შინა-მხარეზე ვილაპარაკოვო?! ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოს გრიშაშვილმა, რომ სონეტის ლექსის ფორმა შინა-მხარესაც ჰგულისხმობს: სონეტის შესახებ გამოკვლევებში პირდაპირ ასეთი ნაწილი არსებობს, თუ როგორი უნდა იყოს სონეტი თავისგნით, შიგნით, ანუ თუ როგორი უნდა იყოს მისი შინა-მხარე; ბუალოს მაგალითად მოჰყავს პიერ პუპის სონეტი სონეტზე, საცა იგი სწერს: „შინაარსი უნდა ფლობდეს კაზმულობას", „ცოტა სახეთა რიცხვში უნდა იყოს მოქცეული დიდი შენობა, რომელშიაც ყოველი უნდა იქნეს აუცილებელი უკანასკნელ ლურსმანამდე", „მთელი შინაარსი უნდა შეკრას მაგარი ნასკვით" და სხვა. რომელი ერთი მოვიყვანო კიდევ! ერთი სიტყვით: ვინც ლაპარაკობს სონეტზე როგორც ლექსის ფორმაზე, იგი ვერაოდეს გვერდს ვერ აუხვევს სონეტის შინა-მხარეს,—გარდა რასაკვირველია იმისა, ვისთვისაც სონეტი მხოლოდ თოთხმეტ სტრიქონიანი ლექსი ირის და მეტი არაფერი. ახლა რითმა. სონეტი წარმოსდგება სიტყვისაგან „sonare",—და სონეტისათვის აუცილებლად საჭიროა კეთილი ხმოვანობა: სონეტის ტანში ინსტრუმენტარული რეკვა უნდა გაისმოდეს,—და თავის თავად ცხადია აქ რითმის კეთილობას დიდი მნიშვნელობა აქვს; მეც მას მივაქციე ყურადღება,—გრიშაშვილი კი გამომდგარა და გაიძახის: „ესეც მეორე ლოღიკაო"! ლოღიკაც ასეთი უნდა მართლა!!

**მესამე:** გრიშაშვილი „საიათნოვაში" პირდაპირ ამას ამბობს: ორი სახის რითმა სონეტის პირველ რვა სტრიქონში რუსეთის პოეტების „რითმის ბურთაობამ" შემოიტანა,—ძველად კი სონეტის რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმით იყო ასხმულიო. აი ამას ვუწოდე მე უმეცრება. რასაკვირველია: გრიშაშვილი ახლაც ჰირვეულობს და ლობე-ყორეს ედება—ოღონდ კი ეს უმეცრება რაიმე გზით მიჩქმალოს. მაგრამ ამას ვერაოდეს ვერ მოახერხებს,—რადგან ეს ფაქტის საკითხია და არა თეორიის. და ფაქტი აი რას ლაპარაკობს: წაიკითხოს გრიშაშვილმა თუ გინდ ასეთი გამოკვლევა, როგორიც არის ნ. შულგოვსკის წიგნი (—„Теорія и практика поэтическаго творчества"), საცა სონეტის ფორმას ორმოც გვერდამდე აქვს დათმობილი (—სახელდობ: 458-499),—და იქ მაინც დაინახავს თავის უცოდინარობას. ძველად სონეტის პირველი რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმით იყო ასხმულიო... ვინ თქვა? ვინ მოჰქორა? განა პეტრარკა სონეტს ისე სწერდა. როგორც გრიშაშვილს ჰგონია?! განა ტორკვატო ტასსო, მიქელ-ანჯელო, მარრო, ბიურგერ, გოეტე, შლეგელ *), რიუკერტ, პლატენ, გაიბელ და მრავალი სხვა,—განა ესენი ოთხი სახის რითმით აწყობდენ სონეტის ორ „ოთხიანს"?! რასაკვირველია: არა. ეს ყველამ იცის. არ იცის მხოლოდ გრიშაშვილმა; რა ჰქნას: „უდიპლომო ბიჭია".. მაგრამ მას მოჰყავს ჰაინეს სონეტი რუსულად ნათარგმნი, საცა პირველი რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმითაა გარითმული, და სიხარულით ფეხზე ვეღარ დგას. მაგრამ ვეკითხები გრიშაშვილს: ორგინალშიაც ასეა აწყობილი ეს სონეტი როგორც თარგმანში? შეადარა თუ არა ერთი მეთრეს ორგინალი და თარგმანი და თუ შეადარა, დაინახა მართლაც ის, რომ ჰაინეს სონეტი გრიშაშვილისებურათ ასხმული სონეტია?! სანამ ამ კითხვას არ მიუგებს მანამდე გრიშაშვილის მტკიცება ლიტერატურის ელემენტარულ ფუძეს იქნება მოკლებული. და ქვევით: იგი იხსენებს: ბოდლერს, ვერლენს, როლლინას და სხვებს (—ვაი საფრანგეთის პოეტნო!) და დასძენს: ესენიც სწერდენ ოთხი სახის რითმით ასხმულ სონეტის პირველ რვა სტრიქონსო. ამის შესახებ აი რა უნდა გაიგოს გრიშაშვილმა: ა) რუსულად ნათარგნ სონეტებში მრავალ-ჯერ არ არის დაცული დედანის სონეტის ასხმულობა; მაგალითად ხოზე-მარია-ჰერედია, რომელიც სამართლიანად ითვლება პირველ სონეტისტად მთელს ქვეყანაზე, რუსულ თარგმანში არ არის კლასსიკურად გადმოცემული; ბ) მართალია ზოგი ფრანგი პოეტი და ზოგი კიდევ სხვებიც თოთხმეტ სტრიქონიან ლექსს ისე ასხამენ, რომ პირველი რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმითაა გამართული, მაგრამ ისინი ასეთს ლექსს უცხო ქვეყნებში ან სულ არ არქმევენ სონეტის სახელს, ან თუ დაარქმევენ, მხოლოდ „თავისუფალ სონეტს" უძახიან (—და არა ნამდვილს: კლასსიკურს); გ) კერძოთ ბოდლერის შესახებ უნდა ითქვას, რომ მას არც ერთი ასეთი ლექსი სონეტის სახელით არ მოუნათლავს, რასაც ამოწმებს თავის უმშვენიერესს გამოკვლევაში ტეოფილ გოტიე (შარლ ბოდლერ" ფრანგულად); დ) გრიშაშვილისათვის უთუოდ საჭიროა ამ გამოკვლევის რაიმე გზით შეთვისება რომ მართლაც გაიგოს ნამდვილი მეტრის აზრი სონეტის აღნაგობაზე ფრანგულს პოეზიაში. ამის შემდეგ კიდევ გამოვა გრიშაშვილი და დაიწყებს ჰირვეულობას: ძველად კი ( ჰო, ეს „კი"!) სონეტის პირველი ნახევრის რვა სტრიქონი ოთხი სახის რითმით იყო ახსნილიო??!

**მეოთხე:** გრიშაშვილი მეკითხება: კლასსიკური სონეტისათვის ხომ ხუთმარცვლოვანი იამბია საჭირო და ქართულში რათ არის მაინცა და მაინც მართებული თოთხმეტ-მარცვლოვანი მეტრი (—და არა ათ-მარცვლოვანიო?), —და გვპირდება: ამის შესახებ სხვა დროს ვიმასლაათებო. სანამ ამ „მასლაათს" გამართავდეს, დავეკითხები გრიშაშვილს: რანაირათ იმართება იამბით ფრანგული ლექსი, საცა სონეტის ფორმა ყველაზე უფრო განვითარდა? ეს პირველი; მეორე: შესაძლოა თუ არა ქართულში იამბი,—და თუ შესაძლოა, მიჩვენოს თუ გინდ ერთი ლექსი იამბის მეტრული ერთეულით! სანამ ამ კითხვებს არ მიუგებს, მანამდე მისი ფრაზა გაუგებრობაა,—მეტი რომ არა ეთქვა. კერძოთ: მე მისთვის ვძლევ თოთხმეტ-მარცვლოვანი მეტრით გამართულ სონეტს უპირატესობას, რომ იგი იძლევა ქართულში ნელსა და მძიმე რიტმს, რაც ასე ახასიათებს სონეტს (—მას უნდა ჰქონდეს ლითონის სიმძიმე). თორემ გრიშაშვილის მიერ აგებული რვა მარცვლოვანი „სონეტი" რა სონეტია?! აბა დაუგდეთ ყური (მისი წიგნი: გვ. 83):

დაჰქრის სიო ფრთაგაშლილი,
ჰავლს ატოკებს, აბუტბუტებს;
ვარდი გულ-მკერდ გაღეღილი
თვალ-ჟუჟუნა ნამს იხუტებს.
ჰფეთქს სიცოცხლე, თრთის ედემი,
არვინ უწყის რაა დაღლა.
მეც, მეც ვლაღობ, სული ჩემი
ცის კამარას აღემაღლა.
სატრფოვ! ნუ კრთი, თავს ძირს ნუ ჰხრი!
გაიფანტა უკვე მწუხრი,
წალკოტს სხივი დასციმციმებს—
აჰ, ვერ მოვწყდი სევდის მთას-მწვავს,
ვფიქრობ: თუ ვინ, ვინ განასკვავს
ჩემს დაწყვეტილ ჩანგის სიმებს. *)

განა ასეთი რიტმით გამოცხადდება სადმე ჭეშმარიტი სონეტი?! სად არის აქ ან მტკიცე ჰედი, ან ნელი სიმძიმე რიტმისა?! აქ მხოლოდ „ცინდრიკია".

დასასრულ: მე აროდეს არ არავის „ალა-ბატონი" არ ყოფილვარ და არც მინდა ვიყო; და გრიშაშვილმა უნდა იცოდეს, რომ „ყანწელები" ხათრით არაფერს აკეთებენ (—და რასაკვირველია, არც ჩემს შესახებ მოიქცევიან ხათრით, თუ-კი მათი ესტეტიური ათვისება ოდესმე ჩემს წინააღმდეგ იქნება მომართული). ჩემი გზა შეუერთდა მათ გზას და მათი გზა შეუერთდა ჩემსას: აი ყველაფერი. ნუ ჰგონია გრიშაშვილს, რომ ჩვენში სხვადასხვაობა არ იყოს სხვა და სხვა საკითხებზე (—გარდა რასაკვირველია გრიშაშვილის შესახებ, საცა ორი აზრი ჩვენ შორის არ მოიპოვება),—ხოლო ეს „სხვაობა" ერთი გზით არის შეკრული.

ერთი კიდევ: გრიშაშვილი მოლუშვით მეუბნება: პოეტურობაზე ნუ მელაპარაკებითო. უნდა მოვახსენო: მე გრიშაშვილს კი არ ველაპარაკები პოეტურობაზე, (ეს ჩემთვის არ არის სრულიად საინტერესო), არამედ იმ საზოგადოებას, რომელიც ჯერ კიდევ უწევს ანგარიშს გრიშაშვილის ნაწერს.

**გრ. რობაქიძე.**

*) შლეგელი თავის სონეტში სონეტზე პირდაპირ თხოულობს სონეტისათვის ორი სახის რითმებით შეკრულს რვა სტრიქონს.

*) ახლა გასაგებია, თუ რად არ უყვარს გრიშაშვილს ლექსის შინა-მხარის გახსენება: აბა გაიგეთ: ედემიც კი არის: თვითონაც ლაღობს, სატრფოსაც იუბნება ნუ კრთიო,—და ამ დროს უეცრად: სევდის მთას ვერ მოვწყდიო და ვინ განასკვამს დაწყვეტილ ჩანგის სიმებსო. ეს არის ლექსის შინაგანი მთლიანობა?! ან „პოეტურობა": „სიო", „ჩანგის დაწყვეტილი სიმები", „ედემი" და სხვა: ეს ნამდვილი ტრაფარეტი; ან და რითმა: მთას—მწვავს—განასკვავს: ენის მოსატეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I. მიეცეს მათ ნახევარ მილიონ მანეთის სესხი საერობო დაწესებულებათა დებულების სისრულეში მოსაყვანად; II. მიეცეს 17 საერობო დაწესებულებას სესხის სახით $3^1/_2$ მილიონი მანეთი ხუთი წლის ვადით; III. მოეთხოვოს ერობებს წაღებულ სესხზე 5 პროც. შემოტანა წელიწადში და გარდა ამისა პენის 12 პროც. წელიწადში, ვადა გადაცილებულ სარგებელზე; IV. საერობო ხარჯთ-აღრიცხვაში შედის 1920 წლ. 1 იანვრიდან. დასამტკიცებლად წარედგინება პარლამენტს.

**◆ დახმარება საჩხერეში ცეცხლით დაზარალებულთ.** საჩხერეში ცეცხლით დაზარალებულთა შესახებ კომისიამ დაადგინა: აღმოეჩინოს საჩხერეში დაზარალებულ მცხოვრებთ დახმარება ხაზინიდან 45 ათასი მანეთი.

**◆ განსახილველი კანონპროექტები.** 1. სახელმწიფო კონტროლის დებულება და შედეგები.

2. ერთდროული გადასახადის შემოღების შესახებ, რომლის განხილვას უკვე შეუდგა.

3. მიწად-მოქმედების მინისტრის კანონპროექტი ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის დახმარების მიცემის შესახებ.

4. პარლამენტის 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5. შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

6. ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი სპირტის გამოხდის წესდების შესახებ ღვინისა, ჭაჭისა და სხვა ხილეულობისაგან.

7) საქართველოს წყლის ძალთა გამოყენების დებულება.

8) სახალხო ჯანმრთელობის კომისიის კანონპროექტი შესახებ: 1) სახალხო ჯანმრთელობის მთავარ გამგეობის დაარსებისა. 2) სასანიტარო ინსტიტუტისათვის; 3) სამრეწველო სასანიტარო საბჭოს დაფუძნება; 4) საფარმაცევტო საბჭოს დაარსება; 5) საბეითლო საბჭოსათვის.

9) მიწად მოქმედების მინისტრის კანონპროექტი 61.500 მ. გადადების შესახებ. სამკურნალო წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში მისაღებად.

10) განათლების მინისტრის კანონპროექტი უმაღლესი დაწყებით სასწავლებლების დახსნის შესახებ.

11) ფინანსთა მინისტრის კანონპროექტი მოკლე ვადიან სესხის შესახებ.

12) შინაგან საქმეთა მინისტრის კან.-პროექტი ქალაქ ლანჩხუთის ერთდროულ დახმარების შესახებ.

13) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კანონპროექტი 49.600 მან. გადადების შესახებ ტყვიბულის ქვინახშირიან რაიონის შესწავლისათვის.

14) გან. მინისტრის კანონ-პროექტი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის 1960 მ, მიცემის შესახებ: ზაფხულში სწავლის გაგრძელებისათვის.

# ქიმიურ სახელწოდებაზე

(პასუხი ბ. მიხ. შალამბერიძეს).

I

ეს არეს „საქართველოს რესპუბლიკაში" (№№ 58 და 59) პატივცემულო კოლეგა, თქვენი ორი წერილი წავიკითხე ქიმიურ სახელწოდების შესახებ.

სრულიად თანახმა ვარ თქვენი ხუთ პირველ მოსაზრებისა, რომელთაც თქვენ სახელების შედგენას და ამორჩევას საფუძლად უდებთ, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთი, მეოთხე მიმაჩნია უმთავრესად. დანარჩენი ოთხიკი თავის თავად ცხადია. ამ მეოთხე მოსაზრებას („სიტყვები ქართული უნდა იყოს") მე ხაზს უსვამ და ამავე ხაზით ვშლი და უარვყოფ თქვენს მეექვსე და მეშვიდე მოსაზრებას, რადგანაც ჩვენი ახალი სახელთწოდება უნდა მთლად და სრულად ხალხის დედა-ენაზედ იყოს გამოსახული; ამის შესახებ მე მოხსენება გაუგზავნე ჩვენს ტეხნიკურ საზოგადოებას და ამიტომ ამ საკითხს აქ აღარ შევეხები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს მოსაზრება უნდა დედა-აზრად გახდეს ყოველ დარგის სახელთწოდების შემუშავებისათვის.

ამ აზრთან ერთსავე სიმაღლეზე ვაყენებ კიდევ ერთს საკითხს, რომელიც თქვენ არ გიხსენებიათ: ქიმიური სახელწოდება თავიდანვე და პირდაპირ ახალ მეცნიერების უკანასკნელ სიტყვაზე უნდა იყოს დაყენებული და შემუშავებული. რა საჭიროა ჩვენს სახელწოდებაში ევროპის ყოველ ძველ ნაბიჯის გამეორება? რად გვინდა ის შუა-ნაბიჯი, წარსულ საუკუნის მესამოცე-წლების ქიმიური სახელები, — რომელიც სჩანს, ძალაუნებურად ამოგირჩევიათ იმის მორიდებით, რომ ახალი, „შემოკლებული", მთელ ევროპა-ამერიკაში კიდევაც შემოღებული სახელთწოდება ვინმეს არ „ეჩოთიროს"? ვინ იქნება ამ ახალ წყობის წინააღმდეგი? საზოგადოებას ან ხალხს ამ საკითხში თავისი მსჯელობა არ ექნება; ყოველ ქიმიკოსს კი ახალ-წყობაზე ბევრად უფრო ეს ძველი სახელთწოდება უნდა ეჩოთირებოდეს თავის რთულ და ვრცელ სახელიანობით და ეხლანდელ მეცნიერებისაგან შორს უკან ჩამორჩენით. მთელი წინწასული ქვეყნიერება მას თანდათან თავს ანებებს და ახალ წყობისაკენ მიიწევს.

არავის უსაფუძლო და არა-მეცნიერულ წინააღმდეგობას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ და თავიდანვე ძირეულად და გაბედვით უნდა შევუდგეთ სახელწოდების შემუშავებას. უნდა ვისარგებლოთ იმითი, რომ მარტო მეოცე საუკუნეში გაგველო განათლების კარი: ევროპა-ამერიკის მიერ შემუშავებულ ცოდნის უმდიდრეს მასალიდან უნდა ეხლავე გადმოვიტანოთ ჩვენს მეცნიერულ ენაში ყოველი ის, რაც გამოსადეგი და ნამდვილია; აგრეთვე უშიშრად უნდა შევასწოროთ რაც შეძველებულია, და იქაც დროებით მოვლენას, ანაქრონიზმს. შეადგენს. ასეთი ბევრი რამ შეგვხვდება ევროპიულ ჭალარა მეცნიერებაში.

რა თქმა უნდა, ყველა ამის შესრულება შესაძლოა მხოლოდ სპეციალისტთა კოლეგიურ მუშაობის შემწეობით; კერძო პირებს კი მარტო ცალკე აზრების და სხვა და სხვა მასალის შემოტანით შეუძლიათ ამ საქმისათვის დახმარების გაწევა.

ასე დაყენებული საერთო მუშაობა ჩვენს უმდიდრეს ენის ნიადაგზედ მთელ ევროპა-ამერიკის სახელთწოდებებზედ უმჯობესს სახელით ჰსახვას წარმოშობს: უფრო მოხდენილს, მტკიცეს, მეტყველს და მარჯვედ სახმარს. თქვენი დანარჩენი ოთხი პირობა მაშინ თავის თავად ასრულდება: ახალი სახელები იქნება მარტივი, ერთმანეთისაგან ადვილად გასარჩევი, საჭირო ახალ სიტყვების ადვილად წარმომშობი და საერთაშორისო შეთანხმების წესებს არა თუ მარტო მიუახლოვდებიან, როგორც თქვენ სურვილს აცხადებთ, არამედ მათ კიდეც შესწორებენ.

გაზეთის საშუალებით შეუძლებელია მეცნიერულ ბაასის. ამისათვის კოლლექტიური შრომა ან პირადი ბაასი არის საჭირო. ამიტომ მირჩევნია მოკლედ გიპასუხოთ თქვენს წინადადებაზე, თქვენი წყობის დაწვრილებული გარჩევა-კი გადავიტანო ტეხნიკურ საზოგადოების სატერმინო კომისიაში, რომელსაც ამ მოკლე ხანში მთელი ქიმიური სახელთ სახვა უნდა მოვახსენო და კოლლეგიურ შემუშავებისათვის გადავცე.

რაც-კი შემეძლო ვამოკლე ჩემი პასუხი, მაგრამ თქვენ იმდენი მწვავე ქიმიური საკითხი წამოგიყენებიათ, რომ მათი მეცნიერული გარჩევა გაზეთში ძნელია. იძულებული ვარ ჩემი წერილი ოთხ ნაწილად გავყო. ორი პირველი ქიმიურ ზოგად სახელებს ეხება, მესამე და მეოთხე-კი — ერთ განუყოფელ აზრს და სპეციალურ დასახელების წყობას შეიცავს.

დავიწყებ ზოგად სახელებიდან.

ჩემის აზრით ნამენკლატურას სახელთ წოდება უნდა დაერქვას, ტერმინოლოგიას კი — სახელთსახვა. ეს სიტყვა ცხადად სახავს, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს მეცნიერულ ენის შემუშავების მიზანი.

ქიმიას, ქემია უნდა დაერქვას, რადგანაც ამ სიტყვის დედა-ფესვში ასო „ე" და არა „ი" შედის ინგლისურ „ქემისტრი" და გერმანულ „ხემიაში" გადმოტანილი.

ელემენტს თქვენ „არსს" უწოდებთ, მე კი **ასოეული** დავარქვი, მის მარტივ ხასიათის გამოსასახავად და თან ყველასთვის გასაგებარი სიტყვით ძველი ელლადისაგან საერთაშორისო ენისათვის გადაცემულ სახელის ჩვენ მეცნიერულ სახელთწოდებაში გადმოსატანად. „არსი" შეიძლება რთულიც იყოს, ასოეული-კი აუცილებლად სადა ნივთიერებას წარმოადგენს.

რასაც თქვენ „უნარიანობას" და მის საფეხურს უწოდებთ, ჩემს ენაზედ სხვა-და-სხვა ხარისხის ბმეობა ჰქვია; თვით ძალას-კი (მთავარის და „ნებენ" ვალენცს) ბმა და თანაბმა. „უმაღლესი ბმეობა, სამბმივი ნივთიერება, ბმოუცვლი „ასოეული" და სხვა. ჩემი სახელი უფრო მტკიცედ მიმაჩნია.

ქიმიურ „მონათესაობას" მისწრაფვა დავარქვი. წყალბად მიმსწრაფი ასოეული, ჟანგბად მიმსწრაფი ნივთიერება.

შერთვას ერთებას ვუწოდებ, შენაერთ ნივთიერებას-კი ნაებითს.

შერთვა, შენაერთი და შერთული ნაებითი ჩემს სახელწოდებით კომპლექსურ (წინანდელ „მოლეკულიარულ") ნაერთებს ეკუთვნის, რომელშიაც მთავარ ბმათა გარდა ვერნიერის „ნებენვალენცები" — თანაბმანიც მოქმედობენ.

ჟანგბადთან შენაერთს თქვენ ჟანგას არქმევთ. ჩემს ენაზედ ეს სიტყვა განმარტებას შეადგენს: ჟანგა მარილი, ესე იგი ჟანგ ბადიანი — მარილი. თქვენს ჟანგას-კი მე ჟანგეულს ვუწოდებ.

ჟანგთა ზოგად სახელს თქვენ აგრეთვე ნორმალურ ჟანგეულის სახელად ნიშნავთ ეს დიდ შეცერხებას გამოიწვევს.

პერიოდულ კანონის მიხედვით წესობრივ, ნორმალურ ჟანგეულს ჟანგარი დავარქვი, (ჟანგარი, ორჟანგარი, ქლორჟანგარი, წყალჟანგარი და სხვა). უფრო დაბალ ჟანგეულს მოჟანგი ან ჟანგივი ვუწოდე. ხან ერთი სიტყვა სჯობს ხან მეორე. (ორმოჟანგი, წყალმოჟანგი, ჟანგივ-ჟანგარი) ჟანგივზედ უდაბეს, მაგრამ ჯერ კიდევ მოქმედ ჟანგეულს (მაგალითად ერთბმივ ნიკელის ან ტყვიის ჟანგეულს) წაჟანგი ვუწოდე. ყველაზედ უდაბესს და ამასთან ერთად უქმ ჟანგეულს ნაკლჟანგა ჰქვია.

ნორმაზედ უმაღლესს უქმ ჟანგეულს გადაჟანგი, ზე — „სიმჟავეების" შემქმნელს-კი ზე-ჟანგარი ან ზე-უწყლი დავარქვი.

ყოველ გვარ ანჰიდრიდს ჩემს ენაზედ უწყლობი ჰქვია, „სიმჟავის" უწყლობს-კი ცალკე სახელი აქვს ამორჩეული — უწყლი.

ჰიდრატს წყლადი დავარქვი.

ჟანგეულის წყლადს წყალჟანგეული ჰქვია. წყალჟანგარი, წყალმოჟანგი წყალწაჟანგი.

ჰიდროქსილს მე წყლოჟანგ და კიდევ ერთი ხალხური სახელი დავარქვი; მაგრამ იმაზედ და საზოგადოდ რთოებზედ (რადიკალებზედ) ლაპარაკი შორს წაგვიყვანს.

თქვენ ამ სიროს წყალ ჟანგას უწოდებთ. ჩემის აზრით თქვენ წყობის მიხედვით ეს სიტყვა უფრო წყლის ჟანგარის ე. ი. ქიმიურად შეუძლებელ ნაერთს ნიშნავს, მინამ წყალბად-ჟანგბადიან რთოს.

ლაბუაზიეს ვაზას ძირეული დავარქვი, „მარილის ძირეული," „ძირეულის უწყლობი" და სხვ.

ფუძე-კი ჩემს ენაზედ სხვა რამეს ნიშნავს, — მარილის და „სიმჟავის" „რადიკალს," ესე იგი მათ ნორმალურ ანიონს. კატიონს-კი **თავი** დავარქვი. თავი და ფუძე. მარილ — „სიმჟავის" შედგენილების და იონის თეორიის ასახსნელად ეს ორი ცნება და მათი დასახელება აუცილებლად საჭიროა. ერთ-ფუძა მარილი და „სიმჟავე" (გვარჯილა და აზოტის „სიმჟავე", ასოფუძა მარილი, ჟანგა-ფუძიანი, ორბმივფუძიანი „სიმჟავე," თავრთული (თქვენი „ორმარილა") მარილი (მაგალითად შაბი) და სხვ.

შემდეგ წერილში მოგახსენებთ „სიმჟავეს" დასახელების შესახებ.

**რუსუდან ნიკოლაძე-პოლიევქტოვისა**

(შემდეგი იქნება)

# ჩვენს ახალგაზრდებს

ზაფხულის არდადეგებმა და ჯარში გაწვევამ ერთმანეთი გაგვყარა. წინეთ შეტკბილებული გრძნობა, ერთმანეთს აღარ შეხვედრია და კლავინდებურად არ უწევია სამშობლოსათვის სასარგებლო პარტიის უღელი. მართალია ამ აკადემიურ წლის დასაწყისში გვქონდა კონფერენცია, რამდენიმე კრებაც, მაგრამ ეს საკმაო არ არი იმ მუშაობისათვის, რომელიც ჩვენგან დიდ დარაზმვას ითხოვს. ჩვენში კონფერენციამ დაადგინა, რომ ჩვენი საქმის განსამტკიცებლად მტკიცე რგოლად აისხას ყოველი თქვენგანი.

რადგანაც სამშობლოს უმწეო მდგომარეობა, და მისი დასაღუპად გამზადება გაერთიანებას გვავალებს. არჩევნებისთვის დიდი მუშაობაა საჭირო. საქმე მრავალია, მათ დასრულება და მშვენება უნდა, ამისათვის კი ახალგაზრდული სისხლი და ძალაა საჭირო. ვისაც ოდნავი შეგრძნობა მაინცა აქვს სამშობლოს კეთილდღეობის ვისაც ჰსურს ერის ძარღვებში სიცოცხლე სჩქეფდეს, ის ჩვენ ხმას უსაცილოდ შეისმენს...

ამხანაგებო!.. ხუთშაბათს, გიორგობისთვის 21-ს, შუადღის 1 ს., ჩვენი პარტიის ყველა ახალგაზრდების საერთო კრებაა; შეიგნეთ, მოვალეობა და შეიკრიბენით ამ დღეს პარტიის ბიუროში.

**ახალგაზრ. მთ. კომ. თავმჯდ. მიხ. ხერხეულიძე.**

# ორი ახალგაზრდა

(ნეკროლოგი)

ყინულიან სვანეთში ორი მეგობარი გამოგვაკლდა. ამბროსი პირველი და კოწია დევდარიანი.

ორივე მხურვალე ახალგაზრდა იყო... ერთი თამამი, ლაღი. მეორე ჩუმი და არც ერთი არ იტყოდა სიტყვას რომ საქართველო არ ეხსენებინა, იშვიათი ქინით ისინი დაძრწოდნენ სვანეთში და მათი ლატანი სიტყვა მუდამ საყვარელი იყო.

მათ ჰყავდათ თვისმიერ მ უპოებული ხალხი, რომელიც დაჰყვებოდათ კონფერენციაზე თუ სხვაგან; დღეს ალბად ისინი უკრეფენ დაშვებულ ხელებს და უკოცნიან საყვარელ სახეს.

უსაცილოდ ორივე უნდა იყოს ხატი და მაგალითი ჩვენი მებრძოლ ახალთაობისა, რომელშიც ალბად უმეტესობენ ასეთი რჩეულნი!.

**შ. მათიკაშვილი**

# ქართული სამუსიკო საზოგადოება

კვირას, 17 გიორგობისთვეს, რეალ. სასწავლებლის დარბაზში სამ. საზოგადოებამ გამართა უფასო კონცერტი მოწაფეებისათვის, შემადგენლობა კვარტეტისა საუცხოვო ძალებისაგან შესდგებოდა ი. ფიშბერგი (1 ვიოლინო), მ. ბელსკი (2 ვიოლინ), ი. მელამედ (ვიოლა) და 6 ბენდიცკი (ვიოლონჩელი). კვარტეტის დაწყებამდე ბ. საბინსკიმ წაიკითხა მოკლე ისტორიული სიტყვა მუსიკის განვითარებისა. და მნიშვნელობაზე. საგანგებოთ მან აღნიშნა გერმანიის მუსიკა, რადგან პროგრამა მხოლოდ გერმანიის მუსიკალ კულტურას შეეხო. კონცერტზე გულწრფელობით იყო შესრულებული ისეთი კვარტეტები როგორც ბეტავენი და შუბერტია კვარტეტი ჩინებულადაა შეზავებული.

ქართულ სამუსიკო საზოგადოების კვარტეტმა გახსნა პირველად კონცერტის სეზონი 1 გიორგობისთვეს და უკვე სერიოზული ნიადაგი მოიპოვა.

მისი ნაყოფი დიადი იქნება ჩვენი ერისათვის. ეს უფასო კონცერტები სისტემატიურად გაიმართება მხოლოდ მოსწავლეებისათვის და რაც შეეხება საზოგადოებას, მის საყურადღებოდ ვაცნობებთ, რომ შაბათს, 23 გიორგობისთვეს, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება „კამერული საღამო".

**ვ — ლი.**

# წერილი რედ. მიმართ

**ექ. დიასამიძეს.**

გაზეთ „საქართველოს" № 218-ში მოთავსებული იყო თქვენი ბარათი იმ 3000 მან. შესახებ, რომელიც ჩემმა მეგობარ ქალმა დაჰკარგა და თქვენ იპოვეთ. თქვენ მიერ აღნიშნულ ბინაზე ვერ გიპოვნეთ, ამისთვის კეთილ ინებეთ და ფული (3,000 მ.) გადაეცით გაზეთ „საქართველოს" რედაქციას, გაზეთის სასარგებლოდ, ხოლო უმაღლეს კურსების მოწმობა, სურათი დი ბანკის ბარათებიც ამავე რედაქციას გაუგზავნეთ პატრონისათვის გადასაცემად.

**ვეფხო-ფშაველა.**

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

# განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.


## კერძო სამკურნალო

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა** — შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე** — კანის და ვენერიულ . სიფილ...ს. 606—914 ... ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი** — საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი** — შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე** — შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იზნელი** — შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე** — საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე** — ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

## ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

**კირ. და ქალთა სნეულების**

## საავადმყოფო

**სამშობიარო განყოფილებ.**

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**

**ალექსანდრე დავითის ძის**

## კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

## სამკურნალო

**უფასოდ ავადმყოფთათვის ექიმ ი. გ. მძინარიშვილის და დ. გ. ნაზარეტიანცის**

საავადმყოფოში იარსებებს **კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება — საღამოს 4-დან — 8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

## ექიმი ი. მაჩაბელი

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგანი სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. თ. — 1536 — 50

**ექიმი**

## ნ. ი. დემეტრაძე

იღებს შინაგან და სადოსტაქრო ავადმყოფებს ყოველ დღე 3—6 ს. წყნეთის ქუჩა № 25. (14—1867—2)

**მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა**

## გ. გ. მეგრაბიანცი

**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის — ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**გ ა ი ხ ს ნ ა**

## თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

**ექიმი**

## მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**

**მოსე ართემის ძე**

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

**ალ. ასათიანის ნაწერი**

## მიწის საკითხი — საქართველოში

წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში. (10—10)

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა

**ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების**

**ორ-კვირეული ჟურნალი**

## „ახალი ძალა"

ფასი ორი მანეთი

ჰრედაქტორობს კოლეგია